ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: თამარ მიდელაშვილი

წევრები:

ქრისტინე ძიძიგური

ლიანა ქოქიაშვილი

ბესიკი ბერიძე

მარიამ კუჭუხიძე

ნინო როსტომაშვილი

ნანა ყანჩაშვილი

სოფიო ხვადაგიანი

მარინე ახალაია

მურად ფახურიძე

სალომე ცხვედიანი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	225389585

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	სსიპ - ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელი რაჭისუბანი
ფაქტობრივი მისამართი	სოფელი რაჭისუბანი
საფოსტო ინდექსი	1100
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Rachisubani@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	555122421

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	2026 წლის 16 მარტის ბრძანება MES 2 26 0000318241
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2026 წლის 20-21 აპრილი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული ენა	ბოლნისი. სოფელი რაჭისუბანი შენობა ერთი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული ენა	ბოლნისი. სოფელი რაჭისუბანი შენობა ერთი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული ენა	ბოლნისი. სოფელი რაჭისუბანი შენობა ერთი

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლაში (ს/კ **225389585**) 2026 წლის 16 მარტის MES 2 26 0000318241ბრძანების საფუძველზე-ავტორიზაციის პირობების შემოწმების მიზნით, 2026 წლის 20 და 21 აპრილს სკოლაში განხორციელდა ვიზიტი. ექსპერტთა ვიზიტი წარიმართა დღის წესრიგის შესაბამისად. გასაუბრება ჩატარდა სკოლის მენეჯმენთან და დღის წესრიგით გათვალისწინებულ პასუხისმგებელ პირებთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან, მასწავლებლებთან, რამაც ჯგუფის ექსპერტებს მოგვცა საშუალება ავტორიზაციის სტანდარტების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით მიგვეღო დაზუსტებული ინფორმაცია. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო სკოლის ინფრასტრუქტურას, ავტორიზაციის ფარგლებში სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს ოთხივე სტანდარტში, დისტანციური ფორმით მოხდა საგნობრივი კურიკულუმებისა და მეორე სტანდარტის ძირითადი მოთხოვნების შესწავლა.

დასასრულს ექსპერტებმა სკოლის წარმომადგენლებს გაუზიარეს ის მიგნებები, რომლებიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა. ვიზიტის ორივე დღემ ჩაიარა მშვიდ და კეთილგანწყობილ გარემოში.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: ------200--------	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული	ხარვეზი

	და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი N		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)	ხარვეზი

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	**სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია**
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციულ და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	**სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია**
3.1.2.4	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით.	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (2026 წლის სექტემბერი) უზრუნველყოს პოზიციებზე შესაბამისი კვალიფიციური კადრის დასაქმება. (იხ. ინდიკატორი)
3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური	ა) დაწესებულებას არ ჰქონდა დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ.

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	ბ) დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (2027 წლის მაისი) უზრუნველყოს: ა) დასკვნის მოპოვება სახანძრო უსაფრთხოების შესახებ. ბ) დასკვნის მოპოვება ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ. (იხ. ინდიკატორი)
3.5.1.4.	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს სკოლის შენობა, ღია სივრცე, თუ ინვენტარი არ ან ნაწილობრივ ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების გადაადგილების.	ვიზიტის პერიოდში სკოლას შეძენილი ჰქონდა პლინტუსების <u>ნაწილი</u>, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი ინკლუზიური გარემოს შესაქმნელად. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (2028 წლის მაისი) უზრუნველყოს სკოლაში ინკლუზიური გარემოს შექმნა. (იხ. ინდიკატორი)
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია**
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)**	**სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია**
N2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**ესთეტიკური აღზდრა:** მუსიკის საბაზო საფეხურის კურიკულმებში არ იყო გაწერილი საგნობირვი სტანდარტის მიხედვით სამივე სავალდებულო თემატური ბლოკიდან

		თემები და ვერ მიიღწეოდა ესგ-ით გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნები. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (2026 წლის სექტემბერი) უზრუნველყოს მუსიკის საბაზო საფეხურის კურიკულუმებში სამივე სავალდებულო თემატური ბლოკიდან თემების წარმოდგენა. (იხ. ინდიკატორი)
N2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	სკოლას არ ჰქონდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (2027 წლის მაისამდე) უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობა. (იხ. ინდიკატორი)
N2.2.2.4	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (2026 წლის სექტემბერი) უზრუნველყოს მოწვეული მასწავლებლის პოზიციაზე და ბიოლოგიასა და გეოგრაფიაში შესაბამისი კვალიფიციური კადრის დასაქმება. (იხ. ინდიკატორი)
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)**	**სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია**
N2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**ესთეტიკური აღზდრა:** საშუალო საფეხურზე არ იყო წარომდგენილი მუსიკის პროექტული სწავლების კურიკულუმი. საათობრივი ბადით არ იყო განსაზღვრული მე-11 კლასში სავალდებულო საგანი „პროექტული სწავლება“.

		სკოლამ წარმოადგინა საათობრივი ბადე ,,პროექტული სწავლებით“ და მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (2026 წლის სექტემბერი) უზრუნველყოს საშუალო საფეხურზე მუსიკის პროექტული სწავლების კურიკულუმის შემუშავება. (იხ. ინდიკატორი)
N2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**ესთეტიკური აღზდრა:** საშუალო საფეხურზე არ იყო წარომდგენილი მუსიკის პროექტული სწავლების კურიკულუმი. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (2026 წლის სექტემბერი) უზრუნველყოს საშუალო საფეხურზე მუსიკის პროექტული სწავლების კურიკულუმის შემუშავება (ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების შესაბამისად). (იხ. ინდიკატორი)
N2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებულ რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**ესთეტიკური აღზდრა:** საშუალო საფეხურზე, ესგ-ით გათვალისწინებული სავალდებულო საგნის - მუსიკის პროექტული სწავლებისათვის არ იყო წარმოდგენილი კურიკულუმი. სასკოლო სასწავლო გეგმით არ იყო განსაზღვრული მე-11 კლასში სავალდებულო საგანი „პროექტული სწავლება“ და არც მუსიკის გრიფირებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალში იყო მითითებული პროექტული სწავლების ერთადერთი გრიფირებული სახელმძღვანელო - გამომცემლობა „პეგასი”, ავტორები ი.ბარამიძე, ქ.ბაიაშვილი. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით

		განსაზღვრულ ვადებში (2026 წლის სექტემბერი) უზრუნველყოს საშუალო საფეხურზე მუსიკის პროექტული სწავლების კურიკულუმის შემუშავება და რეკომენდაციების შესრულება. (იხ. ინდიკატორი)
N2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	**ესთეტიკური აღზდრა:** საშუალო საფეხურზე, ესგ-ით საგნობრივის სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო - მუსიკის პროექტული საგნის სწავლებისათვის არ იყო წარმოდგენილი კურიკულუმი (ხელოვნების პროექტული სწავლების მე-10 კლასის, კურიკულუმის მსგავსად). სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (2026 წლის სექტემბერი) უზრუნველყოს საშუალო საფეხურზე მუსიკის პროექტული სწავლების კურიკულუმის შემუშავება და სასწავლო პროცესის კურიკულუმის მიხედვით განხორციელება. (იხ. ინდიკატორი)
N2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	სკოლას არ ჰქონდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (2027 წლის მაისამდე) უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობა (იხ. ინდიკატორი)
N2.2.2.4	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (2026 წლის სექტემბერი) უზრუნველყოს მოწვეული მასწავლებლის, ბიოლოგიის და გეოგრაფიის პედაგოგების პოზიციაზე შესაბამისი

	ადამიანური რესურსი	კვალიფიციური კადრის დასაქმება. (იხ. ინდიკატორი)

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	**რჩევა**
ინდიკატორი N....		
1.2.1.2.	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს.	სასურველია, სტრატეგიულ მიზნებში მკაფიოდ იყოს განსაზღვრული მოსწავლეთა და მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის საკითხები. (იხ. ინდიკატორი)
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	**რჩევა**
ინდიკატორი N...		
3.3.1.2.	იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები	სასურველია, დაწესებულებამ შექმნას ერთი დოკუმენტი ან ხარისხის მართვის მექანიზმებში აღწეროს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. (იხ. ინდიკატორი)
3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი,	სასურველია, დაწესებულებამ აიყვანოს ან დასაქმებული პირებიდან გამოყოს და სათანადოდ გადაამზადოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი ან გააფორმოს ხელშეკრულება ორგანიზაციასთან, რომელიც გაუწევს შესაბამის მომსახურებას. (იხ. ინდიკატორი)

	უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციები მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	
3.5.1.1.	სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას	ინფრასტრუქტურის დათვალიერებისას დადგინდა მცირედი უზუსტობები აზომვით ნახაზთან, ამიტომ სკოლამ ექსპერტებისაგან მიიღო რჩევა აზომვითი ნახაზის განახლებასთან დაკავშირებით. (იხ. ინდიკატორი)
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**რჩევა**
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)**	**რჩევა**
ინდიკატორი N2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სასურველია, კათედრამ ყველა კლასში ერთი სახის დიზაინის კურიკულუმის ჩარჩო შეიმუშაოს. **საზ.მეცნიერებები:** იმისათვის, რომ საგნობრივი კურიკულუმები სრულყოფილად იყოს მოსწავლეზე ორიენტირებულად მორგებული, საჭიროა კათედრამ ყველა კლასში ერთი დიზაინის კურიკულუმის ჩარჩო შეიმუშაოს. **ესთეტიკური აღზრდა:** 1. **დაწყებით საფეხურზე,** მე-3 და მე-4 კლასების **მუსიკის** საგნის კურიკულუმში რესურსების გრაფაში სასურველია

		ზუსტად იყოს მითითებული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს ავტორები და გამომცემლობა. **სახელმწიფო ენა:** სასურველია, მასწავლებლებმა მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ მეტი აქცენტი გააკეთონ თემის ფარგლებში უფრო მეტი შემოქმედებითი ბუნების დავალების განხორციელებაზე ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით, კურიკულუმების შემდგომი განვითარების მიზნით გასწორდეს ტექნიკური შეცდომები, მეტი ყურადღება მიექცეს ინფორმაციების სათანადო გრაფებში განთავსებას, ზოგიერთ შემთხვევაში შინაარსობრივად დაიხვეწოს დავალების იდეა. ყურადღება მიექცეს საგნობრივი კურიკულუმების როგორც შინაარსობრივ, ასევე ტექნიკურ და ვიზუალურ მხარეს, შემუშავდეს კურიკულუმის ერთიანი ჩარჩო.
ინდიკატორი N2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სასურველია, დაწყებით საფეხურზე (I-დან IV კლასების) ბუნებისმეტყველების საგნობრივი წლიური პროგრამების ამსახველ დოკუმენტში-კურიკულუმში ისევე ზუსტად აისახოს თემებისა და სამიზნე ცნებების მჭიდრო კორელაცია საგნობრივ სტანდარტთან, როგორც ეს არის საბაზო/საშუალო საფეხურების საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებში. **უცხოური ენები:** სასურველია კათედრაზე შემუშავებული იყოს ერთი კურიკულუმის ჩარჩოს დიზაინი, რომელიც გამოყენებული იქნება ორივე ენის მიერ (ინგლისური, რუსული). **სახელმწიფო ენა:** სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოში სავალდებულო თემები გაიწეროს სტანდარტის მიხედვით. პედაგოგებმა გაითვალისწინონ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, საგნობრივ სტანდარტი და სტანდარტის მიხედვით დახვეწონ კურიკულუმები, თემის შესაბამისი სამიზნე ცნებები და ქვეცნებები.

ინდიკატორი N2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სასურველია, კურიკულუმებში ყველ ძირითად საკითხთან მიმართებით იყოს სრულად, სტანდარტან მიმართებით სწორად შევსებული ცნება/ქვეცნების, რესურსების გრაფა. **სახელმწიფო ენა:** სასურველია სამომავლოდ კურიკულუმის უფრო მეტად გამრავალფეროვნება საგანმანათლებლო რესურსებით, (საგანმანათლებლო რესურსების ბმულები, მასწავლებლების ან მოსწავლეების მომზადებული მოდიფიცირებული რესურსები და სხვ.), ამასთანავე სასურველია, უკვე არსებული რესურსები კურიკულუმებში აისახოს ბმულების სახით.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი N2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სასურველია, კათედრამ ყველა კლასში ერთი დიზაინის კურიკულუმის ჩარჩო შეიმუშაოს. **საზ.მეცნიერებები:** იმისათვის, რომ საგნობრივი კურიკულუმები სრულყოფილად იყოს მოსწავლეზე ორიენტირებულად მორგებული, საჭიროა კათედრამ ყველა კლასში ერთი დიზაინის კურიკულუმის ჩარჩო შეიმუშაოს. **სახელმწიფო ენა:** სასურველია, მასწავლებლებმა მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ მეტი აქცენტი გააკეთონ თემის ფარგლებში უფრო მეტი შემოქმედებითი ბუნების დავალების განხორციელებაზე ყველა სამიზნ ცნების გააქტიურებით. კურიკულუმების შემდგომი განვითარების მიზნით გასწორდეს ტექნიკური შეცდომები, მეტი ყურადღება მიექცეს ინფორმაციების სათანადო გრაფებში განთავსებას, ზოგიერთ შემთხვევაში შინაარსობრივად დაიხვეწოს დავალების იდეა. ყურადღება მიექცეს საგნობრივი კურიკულუმების როგორც შინაარსობრივ, ასევე ტექნიკურ და ვიზუალურ მხარეს, შემუშავდეს კურიკულუმის ერთიანი ჩარჩო.
ინდიკატორი	კურიკულუმი მიემართება	**უცხოური ენები:** სასურველია კათედრაზე შემუშავებული იყოს ერთი

N2.1.2.2	ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	კურიკულუმის ჩარჩოს დიზაინი, რომელიც გამოყენებული იქნება ორივე ენის მიერ (ინგლისური, რუსული). **სახელმწიფო ენა:** სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოში სავალდებულო თემები გაიწეროს სტანდარტის მიხედვით. პედაგოგებმა გაითვალისწინონ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, საგნობრივი სტანდარტი და სტანდარტის მიხედვით დახვეწონ კურიკულუმები, თემის შესაბამისი სამიზნე ცნებები და ქვეცნებები.
ინდიკატორი N2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სასურველია, კურიკულუმებში ყველა ძირითად საკითხთან მიმართებით იყოს სრულად, სტანდარტან მიმართებით სწორად შევსებული ცნება/ქვეცნების, რესურსების გრაფა. **სახელმწიფო ენა:** სასურველია სამომავლოდ კურიკულუმის უფრო მეტად გამრავალფეროვნება საგანმანათლებლო რესურსებით, (საგანმანათლებლო რესურსების ბმულები, მასწავლებლების ან მოსწავლეების მომზადებული მოდიფიცირებული რესურსები და სხვ.), ამასთანავე სასურველია, უკვე არსებული რესურსები კურიკულუმებში აისახოს ბმულების სახით.
ინდიკატორი N2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სასურველია, საშუალო საფეხურის ბუნებისმეტყველების პედაგოგებმა კომპლექსური დავალების მატრიცებში(აქტივობებში) გაითვალისწინონ **ინკლუზიური და დიფერენცირებული** მიდგომები. სასურველია თუ ასეთი მიდგომები გათვალისწინებული იქნება დიაგნოსტიკური და შემაჯამებელი ტესტების შედგენისას. **ესთეტიკური აღზრდა:** თუ სკოლაში არიან სსსმ მოსწავლები და მათთვის სხვადასხვა საგნების კათედრები ამზადებენ ინდივიდუალურ გეგმებს, სასურველია ესთეტიკურმა საგნებმაც მიიღონ მონაწილეობა ამ პროცესში. შესაძლებელია მოსწავლე არ საჭროებს ინდივიდუალურ გეგმას, მაშინ დოკუმენტალურად უნდა გაიწეროს მოსწავლის აქტუალური დონე. **სახელმწიფო ენა:** კურიკულუმი ინკლუზიურობისა და დიფერენცირებული მიდგომების ელემენტებს შეიცავს, თუმცა ეფექტურობის გაზრდისთვის სასურველია კიდევ უფრო მკაფიოდ გამოჩნდეს ინდივიდუალური მიდგომის

		სტრატეგიები, მაგალითად, როგორ ადაპტირდება დავალება განსხვავებული აკადემიური დონის მქონე მოსწავლეებისთვის.
ინდიკატორი N2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სასურველია, საშუალო საფეხურის ბუნებისმეტყველების პედაგოგებმა კათედრებზე შეიმუშავონ როგორც კომპლექსური, ისე შემაჯამებელი დავალებების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შედეგების მიღწევის ინდიკატორებზე დაყრდნობით, ცნებებზე ორიენტირებულად. **ესთეტიკური აღზრდა:** ესთეტიკური აღზრდის საშუალო საფეხურის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, სასურველია, ცნებების დაფარვისაკენ იყოს მიმართული. კერძოდ, საბაზო საფეხურის ყველა ცნება - ბგერა, რიტმი, მელოდია, ჰარმონია, ფორმა და ჟანრი რუბრიკაში გაიწეროს დამოუკიდებლად, თემასა და საკითხთან მიმართებაში და მიენიჭოს მათ 1 ქულა, რაც ჯამში დადებითი შეფასების 6 - მაქსიმალურ ქულას შეადგენს. განმავითარებელ შეფასებშიც ასევე უნდა ჩანდეს თემასთან და საკითხთან მიმართებაში ცნებებზე დაფუძნებული მოსწავლის ცოდნა. **სახელმწიფო ენა:** სასურველია, შეიქმნას რუბრიკები ან შეფასების კრიტერიუმები თითოეული კომპლექსური დავალებისთვის, რომლებშიც ნათლად იქნება გაწერილი, რა დონეზეა მიღწეული სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. ეს დაეხმარება მოსწავლეებს, გააცნობიერონ, კონკრეტულად რა კომპონენტებში სჭირდებათ გაუმჯობესება. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება უნდა ეყრდნობოდეს სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევის ინდიკატორებს და მიემართებოდეს როგორც შუალედურ, ასევე გრძელვადიან მიზნებს. სასურველია, სკოლამ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის შედგენისას იხელმძღვანელოს სამივე საფეხურის სტანდარტში მითითებული ინდიკატორებით, შეარჩიოს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებისთვის ყველაზე ადეკვატური ერთი ან რამდენიმე ინდიკატორი და დააკონკრეტოს დავალების პირობის გათვალისწინებით.

ინდიკატორი N2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	**სახელმწიფო ენა:** კურიკულუმებში წარმოდგენილია დავალების იდეები, თუმცა არ არის დეტალურად აღწერილი შეფასების კრიტერიუმები ან მეთოდები. შეფასების რუბრიკების ან კონკრეტული შეფასების ინსტრუმენტების დამატება გააუმჯობესებს სასწავლო პროცესის ეფექტურობასა და ობიექტურობას.
ინდიკატორი N2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**საზ.მეცნიერებები:** სასურველია კათედრამ შეიმუშაოს კონკრეტული კომპლექსური დავალებების და შემაჯამებელი დავალებების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მორგებული იქნება სამიზნე ცნებებსა და საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ შედეგების ინდიკატორებზე. **უცხოური ენები:** სასურველია კათედრამ მოახდინოს რუბრიკების დეტალიზაცია, რათა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება პირდაპირ და მკაფიოდ ეფუძნებოდეს კონკრეტულ სამიზნე ცნებებსა და თემის მისაღწევ შედეგებს. **ესთეტიკური აღზრდა:** ესთეტიკური აღზრდის საგნების საშუალო საფეხურის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, სასურველია, ცნებების დაფარვისაკენ იყოს მიმართული. **სახელმწიფო ენა:** სასურველია, შემუშავდეს ყველა შემოქმედებითი დავალების შესაფასებელი განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკები და კრიტერიუმები, რომლებიც დაეფუძნება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. შეფასება უნდა ეყრდნობოდეს სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევის ინდიკატორებს და მიემართებოდეს როგორც შუალედურ, ასევე გრძელვადიან მიზნებს. შეფასების სანდოობისთვის კარგი იქნება მეტად გამოიყენონ კონკრეტულ საკითხზე, შემაჯამებელ დავალებაზე თუ შემოქმედებით პროდუქტზე მორგებული შეფასების კრიტერიუმები, სადაც გათვალისწინებული იქნება შესაფასებელი

		დავალების თითოეული ელემენტი.
ინდიკატორი N2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	**სახელმწიფო ენა:** მიუხედავად იმისა, რომ ელექტრონული რესურსები კარგი დამხმარე საშუალებაა, სასურველია, დაემატოს სხვა ტიპის რესურსებიც, რათა დაკმაყოფილდეს მოსწავლეთა განსხვავებული სწავლის სტილები და ინტერესები. მაგალითად: ინტერაქტიული სავარჯიშოები: ენობრივი და ლიტერატურული მასალის გასამყარებლად. პოდკასტები/აუდიოწიგნები: განსაკუთრებით ლიტერატურული ნაწარმოებების ან მათი ანალიზებისთვის. ონლაინმუზეუმები და ვირტუალური ტურები: თუ შესაძლებელია ნაწარმოებებთან ან ავტორებთან დაკავშირებული ადგილების ვირტუალური მონახულება (მაგალითად, მწერლის სახლ-მუზეუმები). სამეცნიერო-პოპულარული სტატიები და ესეები ლიტერატურულ კონტექსტსა და კონკრეტულ თემებზე ცოდნის გასაღრმავებლად.
ინდიკატორი N2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სასურველია, სკოლამ შექმნას რესურსების ვალიდაციის დოკუმენტი, რის საფუძველზეც შეირჩევა დამხმარე სასწავლო რესურსები. **სახელმწიფო ენა:** სასურველია, კათედრამ დანერგოს პრაქტიკა, რომლითაც მასწავლებლებს და საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლეებსაც შეეძლებათ უკუკავშირის მიცემა გამოყენებული რესურსების შესახებ, რათა მათი ეფექტურობა მუდმივად გაუმჯობესდეს. ამგვარი პრაქტიკის დანერგვა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს დამხმარე რესურსების ხარისხს და უზრუნველყოფს, რომ ისინი მართლაც ეფექტურად ემსახურონ სასწავლო მიზნებს.

ინდიკატორი N2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სასურველია სკოლამ გონივრულ ვადებში უზრუნველყოს საშუალო საფეხურზე კეთებით სწავლების სტრატეგიის გამოყენების ხელშესაწყობად და სიღრმისეული სწავლებისთვის ლაბორატორიის გამოყოფა, რეაქტივების მარაგის შევსება, წყლის და გამწოვი სისტემის დროული დამონტაჟება, განცალკევებული საპრეპარატორო ოთახი და ა.შ. უსაფრთხოების სრული უზრუნველყოფის მიზნით, სასურველია, გამოყენების შემდგომ ადვილად მსხვრევადი ყველა მინის ჭურჭელი, ქიმიური პრეპარატების მსგავსად, აუცილებლად ინახებოდეს კარადაში, დაკეტილ მდგომარეობაში.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.
სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლამ 29.05.2026 წლის MES 426 0000639517 კორესპონდენციით **წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია.**
სკოლა სრულად დაეთანხმა დასკვნის პროექტში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებს, წარმოადგინა ხარვეზების გამოსწორების მტკიცებულებები და სტანდარტთან უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმა.
რიგი ინდიკატორები, რომლებიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც - „არ შეესაბამება“ ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც „შესაბამისი“, ან „მეტწილი“. კერძოდ:

ინდიკატორი N. 1.2.1.4. – სკოლის 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმით არ იყო განსაზღვრული შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსი. აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით სკოლამ წარმოადგინა 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები (ფინასური, ადამიანური, მატერიალური რესურსი). აქედან გამომდინარე, ინდიკატორის შეფასება შეიცვალა, კერძოდ, დასკვნის პროექტში ინდიკატორი „არ შეესაბამებოდა“, ხოლო არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ წარმოდგენილი მტკიცებულების

საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი შეფასდა „შესაბამისობით“. **ინდიკატორი N1.2.1.4** შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

ინდიკატორი N 3.1.2.4. მოწვეული მასწავლებლებლის კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდა კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე გამოცხადებულია ღია კონკურსი ვაკანტურ საათებზე, შესაბამისობის გეგმით კვალიფიციური კადრით სკოლის უზრუნველყოფა განსაზღვრულია 2026 წლის სექტემბრამდე. დასკვნის პროექტში ინდიკატორი „არ შეესაბამებოდა“, ხოლო არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი შეფასდა „მეტწილი შესაბამისობით“. **ინდიკატორი N3.1.2.4.** მეტწილად შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

ინდიკატორი N. 3.3.1 1. - დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ხარისხის პოლიტიკის დოკუმენტი წარმოდგენილი იყო ზოგადი ჩარჩო დოკუმენტის სახით (არ ითვალისწინებდა სკოლის საჭიროებებს).
დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის სახით აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის მტკიცებულებად წარმოადგინა სსიპ - ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, რომელიც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. აქედან გამომდინარე, ინდიკატორის შეფასება შეიცვალა, კერძოდ, დასკვნის პროექტში ინდიკატორი „არ შეესაბამებოდა“, ხოლო არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი შეფასდა „შესაბამისობით“. **ინდიკატორი N3.3.1.1.** შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

ინდიკატორი N.3.4.1.1 - აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით დაწესებულებას ჰქონდა შემდეგი ხარვეზები:
ა) სკოლის კიბის უჯრედი არ კონტროლდებოდა ვიდეოსამეთვალყურეო სისტემით;
ბ) დაწესებულებას არ ჰქონდა დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ.
გ) დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ.
არგუმენტირებული პოზიციისას სსიპ - ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლამ ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. კერძოდ,
ა) კიბის უჯრედი სრულად კონტროლდება შეძენილი და დამონტაჟებული 2 ვიდეო კამერით (წარმოდგენილია შესაბამისი ფოტო მასალა).
ბ) სკოლა 2027 წლის მაისამდე უზურნველყოფს შენობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვებას.

გ) სკოლა 2027 წლის მაისამდე უზრუნველყოფს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვებას. აქედან გამომდინარე, ინდიკატორის შეფასება შეიცვალა, კერძოდ, დასკვნის პროექტში ინდიკატორი ,,არ შეესაბამებოდა", ხოლო არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი შეფასდა ,,მეტწილი" შესაბამისობით.

ინდიკატორი N. 3.5.1.4. - ვიზიტის პერიოდში სკოლას შეძენილი ჰქონდა პლინტუსების ნაწილი, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი სკოლის ინკლუზიური გარემოს შესაქმნელად. დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრა აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის პერიოდად 2028 წლის მაისი. აქედან გამომდინარე, ინდიკატორის შეფასება შეიცვალა, კერძოდ, დასკვნის პროექტში ინდიკატორი ,,არ შეესაბამებოდა", ხოლო არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი შეფასდა ,,ნაწილობრივ შესაბამისობით". **ინდიკატორი N3.5.1.4.** ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

ინდიკატორი N. 2.1.2.1. ესთეტიკური აღზდრა - საშუალო საფეხურზე არ იყო წარმოდგენილი მუსიკის პროექტული სწავლების კურიკულუმი, საათობრივი ბადით არ იყო განსაზღვრული მე-11 კლასში სავალდებულო საგანი „პროექტული სწავლება". დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაზე წარმოადგინა საათობრივი ბადე პროექტული სწავლებით და შესაბამისობის გეგმით განსაზღვრა კურიკულუმთან დაკავშირებული ხარვეზის აღმოფხვრის პერიოდად 2026 წლის სექტემბერი. აქედან გამომდინარე, ინდიკატორის შეფასება შეიცვალა, კერძოდ, დასკვნის პროექტში ინდიკატორი ,,არ შეესაბამებოდა", ხოლო არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ ინდიკატორი შეფასდა ,,მეტწილი შესაბამისობით". **ინდიკატორი N2.1.2.1.** მეტწილ შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

ინდიკატორი N. 2.1.2.2. ესთეტიკური აღზდრა - მუსიკის საბაზო საფეხურის კურიკულმებში არ იყო გაწერილი საგნობირვი სტანდარტის მიხედვით სამივე სავალდებულო თემატური ბლოკიდან თემები და ვერ მიიღწეოდა ესგ-ით გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნები. ვიზიტის პერიოდში სკოლას შეძენილი ჰქონდა პლინტუსების ნაწილი, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი სკოლის ინკლუზიური გარემოს შესაქმნელად. დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრა აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის პერიოდად 2026 წლის სექტემბერი. აქედან გამომდინარე, ინდიკატორის შეფასება შეიცვალა, კერძოდ, დასკვნის პროექტში ინდიკატორი ,,არ შეესაბამებოდა", ხოლო არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ ინდიკატორი შეფასდა ,,მეტწილი შესაბამისობით". **ინდიკატორი N2.1.2.2.** მეტწილ შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

ინდიკატორი N. 2.1.2.3. ესთეტიკური აღზდრა - საშუალო საფეხურზე, ესგ-ით გათვალისწინებული სავალდებულო საგნის - მუსიკის პროექტული სწავლებისათვის არ იყო წარმოდგენილი კურიკულუმი. სასკოლო სასწავლო გეგმით არ იყო

განსაზღვრული მე-11 კლასში სავალდებულო საგანი „პროექტული სწავლება“ და არც მუსიკის გრიფირებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალში იყო მითითებული პროექტული სწავლების ერთადერთი გრიფირებული სახელმძღვანელო - გამომცემლობა „პეგასი”, ავტორები ი.ბარამიძე, ქ.ბაიაშვილი. დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრა აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის პერიოდად 2026 წლის სექტემბერი. აქედან გამომდინარე, ინდიკატორის შეფასება შეიცვალა, კერძოდ, დასკვნის პროექტში ინდიკატორი „არ შეესაბამებოდა“, ხოლო არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ ინდიკატორი შეფასდა „მეტწილი შესაბამისობით“. **ინდიკატორი N2.1.2.3.** მეტწილ შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

ინდიკატორი N. 2.2.1.1. ესთეტიკური აღზდრა - საშუალო საფეხურზე, ესგ-ით გათვალისწინებული სავალდებულო საგნის - მუსიკის პროექტული სწავლებისათვის არ იყო წარმოდგენილი კურიკულუმი. დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრა აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის პერიოდად 2026 წლის სექტემბერი. აქედან გამომდინარე, ინდიკატორის შეფასება შეიცვალა, კერძოდ, დასკვნის პროექტში ინდიკატორი „არ შეესაბამებოდა“, ხოლო არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ ინდიკატორი შეფასდა „მეტწილი შესაბამისობით“. **ინდიკატორი N2.2.1.1.** მეტწილ შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

ინდიკატორი N. 2.2.1.3. ესთეტიკური აღზდრა - საშუალო საფეხურზე კათედრის მიერ არ იყო წარმოდგენილი პროექტული სწავლების განმავითარებელი შეფასების რუბრიკა საგნობრივ სტანდარტზე დაფუძნებული. აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით სკოლამ წარმოადგინა პროექტული სწავლების განმავითარებელი შეფასების რუბრიკა. აქედან გამომდინარე, ინდიკატორის შეფასება შეიცვალა, კერძოდ, დასკვნის პროექტში ინდიკატორი „არ შეესაბამებოდა“, ხოლო არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ ინდიკატორი შეფასდა „ შესაბამისობით“. **ინდიკატორი N2.2.1.3.** შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

ინდიკატორი N. 2.2.2.3. - საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში საბაზო და საშუალო საფეხურებზე სკოლას არ ჰქონდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია. დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრა აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის პერიოდად 2027 წლის მაისი. აქედან გამომდინარე, ინდიკატორის შეფასება შეიცვალა, კერძოდ, დასკვნის პროექტში ინდიკატორი „არ შეესაბამებოდა“, ხოლო არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ ინდიკატორი შეფასდა „მეტწილი შესაბამისობით“. **ინდიკატორი N2.2.2.3.** მეტწილ შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

ინდიკატორი N. 2.2.2.4. - საბაზო და საშუალო საფეხურებზე სკოლას არ ჰყავდა კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი. დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრა აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის პერიოდად 2026 წლის სექტემბერი და შესაბამის პორტალზე განათავსა ვაკანსიების ჩამონათვალი. აქედან გამომდინარე, ინდიკატორის შეფასება შეიცვალა, კერძოდ, დასკვნის პროექტში ინდიკატორი ,,არ შეესაბამებოდა", ხოლო არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ ინდიკატორი შეფასდა ,,მეტწილი შესაბამისობით". **ინდიკატორი N2.2.2.4.** მეტწილ შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.**

სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის მისიაა მოსწავლეზე ორიენტირებულ, პოზიტიურ სასწავლო გარემოში ფორმალური და არაფორმალური განათლების ორგანული შერწყმით, საზოგადოებრივი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების გაძლიერებული სწავლებით, აღვზარდოთ ტოლერანტი, კონკურენტუნარიანი, გლობალური და ეროვნული ღირებულებების დამცველი, მაღალი პასუხისმგებლობის მქონე პატრიოტი მოქალაქეები. დაწესებულების ხედვით, სკოლა უახლოესი ათწლეულის განმავლობაში შეძლებს მოსწავლეთა აღჭურვას 21-ე საუკუნისთვის შესაბამისი კომპეტენციებითა და უნარებით, რასაც მიაღწევს ინოვაციური და ტრადიციული სწავლების მეთოდებით, სტრატეგიებითა და მიდგომებით. რ მეტაკოგნიციის საშუალებით შეძლებენ განათლების უწყვეთ პროცესში ორგანულ ჩართვას, რითაც თავს დაიმკვიდრებენ კავკასიის რეგიონსა და მსოფლიო შრომით ბაზარზე.

სკოლის ღირებულებებია: თანამშრომლობა, გუნდურობა, გამჭირვალობა, დემოკრატია, ობიექტურობა, განვითარება, ინოვაციურობა, მოქალაქეობა. სკოლის მიერ წარმოდგენილი მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**.

სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის მისიაა მოსწავლეზე ორიენტირებულ, პოზიტიურ სასწავლო გარემოში ფორმალური და არაფორმალური განათლების ორგანული შერწყმით, საზოგადოებრივი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების გაძლიერებული სწავლებით, აღვზარდოთ ტოლერანტი, კონკურენტუნარიანი, გლობალური და ეროვნული ღირებულებების დამცველი, მაღალი პასუხისმგებლობის მქონე პატრიოტი მოქალაქეები. დაწესებულების ხედვით, სკოლა უახლოესი ათწლეულის განმავლობაში შეძლებს მოსწავლეთა აღჭურვას 21-ე საუკუნისთვის შესაბამისი კომპეტენციებითა და უნარებით, რასაც მიაღწევს ინოვაციური და ტრადიციული სწავლების მეთოდებით, სტრატეგიებითა და მიდგომებით. რ მეტაკოგნიციის საშუალებით შეძლებენ განათლების უწყვეთ პროცესში ორგანულ ჩართვას, რითაც თავს დაიმკვიდრებენ კავკასიის რეგიონსა და მსოფლიო შრომით ბაზარზე.

სკოლის ღირებულებებია: თანამშრომლობა, გუნდურობა, გამჭირვალობა, დემოკრატია, ობიექტურობა, განვითარება, ინოვაციურობა, მოქალაქეობა. სკოლის მიერ წარმოდგენილი მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს.**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები ეფუძნება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. მათი შინაარსი მოიცავს ფორმალური და არაფორმალური განათლების ხელშეწყობით, უსაფრთხო, პოზიტიური, განვითარებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნას. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დასტურდება, რომ დაწესებულება ცდილობს შექმნას თანამშრომლობითი, გუნდური, დემოკრატიული, სოციო -კულტურული გარემო, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებასა და ემოციურ უსაფრთხოებაზე. ამ მიმართულებით, თვითმმართველობის ინიციატივით მიმდინარე წელს სკოლის მენეჯმენტის, მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების, მასწავლებლებისა და მოსწავლეთა დახმარებითა და ჩართულობით განხორციელდა სასკოლო აქტივობა -,,საშობაო სკოლა". სკოლის მენეჯმენტის განმარტებით, უსაფრთხო გარემოზე ზრუნვას ემსახურება ინტეგრირებული სასკოლო პროექტი ბიოლოგიასა და ხელოვნებაში ,,ნარჩენი /მეორადი პროდუქტების გადამუშავება და ახალი სიცოცხლის მიცემა". სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით.**

სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის_მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. 2026 წლის 3 თებერვალს დირექტორის N15 ბრძანებით დამტკიცებულია მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს, კერძოდ, სკოლის ფილოსოფიის შემუშავება/გაზიარების პროცესს.

სკოლის ფილოსოფიის მოსამზადებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით მასწავლებლების, თემის. მოსწავლეთა და საფეხურების მიხედვით მშობელთა წარმომადგენლობით შექმნილია სამუშაო ჯგუფი, თანამშრომლების და მშობლებისთვის აღნიშნულ საკითხზე ჩატარებულია ანკეტირება. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სკოლის ფილოსოფია შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, რაც დასტურდება არამარტო წარმოდგენილი დოკუმენტაციით, არამედ სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით. ზემოთქმულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

სკოლის ფილოსოფიის პროექტის განხილვაში მონაწილეობენ სამეურვეო საბჭოს წევრები. სკოლის მისია, ხედვა ღირებულებები შეტანილია 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმში. აღნიშნული დოკუმენტი განხილილი და დამტკიცებულია სკოლის პედაგოგიური საბჭოზე, სასკოლო საზოგადოებისგან უკუკავშირის მიღების მიზნით ჩატარებული და შეჯამებულია ანკეტირება (რომელიც წარმოდგენილი იყო ვიზიტის პერიოდში და აღნიშნული დასტურდება სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებითაც). სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის საფუძველზე სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებულია სკოლის ფილოსოფია, რომლის განხილვა/გაცნობა მოხდა მეთოდოლოგიის დოკუმენტის შესაბამისად. ზემოთქმულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

6. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის_მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას სკოლის საინფორმაციო დაფაზე. გასაუბრებით და მშობელთა N3 კრების ოქმებით დასტურდება, რომ კლასის დამრიგებლები მშობლებს აცნობენ სკოლის ფილოსოფიას. ინფორმაციის საჯაროობას ასევე უზრუნველყოფს სკოლის ვებ გვერდი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

7. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს 2005 წლის 15 სექტემბრის N448 - ე ბრძანებით ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ ბრძანებით, სკოლის სახელწოდებად განსაზღვრულია სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის_2025-2026 ს.წ. სასკოლო გეგმა
- სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის ფილოსოფია (მისია, ხედვა და ღირებულებები)
- სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება სტრატეგიულ დაგეგმარებაზე სამუშაო ჯგუფს შექმნის შესახებ
- სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები N1-5
- სტრატეგიული დაგეგმვის მიზნით შექმნილი ანკეტები/კითხვარები
- მშობელთა კრების ოქმი N 3

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**
☐ **მეტწილად შეესაბამება**
☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**
☐ **არ შეესაბამება**

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს.**

რაჭისუბნის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს დირექტორის N15 ბრძანებით დამტკიცებული მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს და მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- სკოლის ფილოსოფიის შემუშავება/გაზიარების პროცესი;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება/გაზიარება/ დამტკიცების პროცესი;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების პროცესი;
- სკოლის ფილოსოფიის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებში ცვლილებების შეტანის პროცესი;
- სტრატეგიული გეგმის ანგარიშის და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადების პროცესი.

აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია ჩართული მხარეები, სტრატეგიული დაგეგმვის ძირითადი პრინციპები, ინფორმაციის გაზიარების მექანიზმები, სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა (რომელიც სრულად მოიცავს სასკოლო საზოგადოების წევრებს - დირექციის, ადმინისტრაციის, მასწავლებლის, მოსწავლისა და მშობლის შემადგენლობით). დოკუმენტის მე-7 თავით განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმები. წარმოდგენილი მასალით დასტურდება, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია სასკოლო საზოგადოების ინტერების გათვალისწინების მექანიზმებით. კერძოდ, უკვე არსებული 2024-2031 წლების სტრატეგიულ გეგმის გადახედვისა და გაუმჯობესების მიზნით რაჭისუბნის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 20 იანვრის N78-ე ბრძანებით განსაზღვრულია სამუშაო ჯგუფის შექმნა. სამეურვეო საბჭოს N2 ოქმით (10/02.2025) დასტურდება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების სასკოლო საზოგადოებასთან გაზიარების საკითხები. სამეურვეო საბჭოს N3 ოქმით (01/03/2025) - მიღებული უკუკავშირის განხილვის საკითხი. სამეურვეო საბჭოს N4 ოქმით (15/03/2025) - წარმოდგენილი პროექტის ხელმეორედ განხილვის საკითხი. N5 ოქმით (26/03/2025) - სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის სასკოლო საზოგადოებისთვის გაცნობის ფორმები და საშუალებები (პედაგოგიურ საბჭო, მშობელთა კრება,საინფორმაციო დაფა, საკლასო საათი, ელექტრონული კომუნიკაცია/სოციალური ქსელი). სტრატეგიული გეგმის დასრულებული ვერსია დამტკიცებულია 2025 წლის 22 მაისს სამეურვეო საბჭოს რიგგარეშე N1სხდომაზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს.**

სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის ფილოსოფიას. იგი განხილულია პედაგოგიური

საბჭოს სხდომაზე და დასრულებული ვერსია დამტკიცებულია 2025 წლის 22 მაისს სამეურვეო საბჭოს რიგგარეშე N1სხდომაზე.

სტრატეგიული გეგმით დასტურდება, რომ სკოლის შესაძლებლობებისა და SWOT ანალიზის გათვალისწინებით ძლიერი მხარეა: მოსწავლეზე ორიენტირებული პოზიტიური გარემო, კლასგარეშე აქტივობები, სკოლისა და სასწავლო პროცესის ეფეტიანი მართვა, არაფორმალური განათლება. სუსტი მხარეებია: მატერიალური ბაზის სიმწირე, დაფინანსების სიმცირე, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის არასრული აღჭურვა.

შვიდწლიანი გეგმით სკოლას განსაზღვრული აქვს შემდეგი სტრატეგიული მიზნები (შესაბამისი ამოცანებით და შესრულების პერიოდებით):

სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება;

მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;

თანამშრომელთა პროფესიული უნარების განვითარება;

ადამიანური რესურსების მართვა/განვითარება.

დაწესებულების სტრატეგიული მიზნები თავსებადია სკოლის მისიასთან და ემსახურება სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას, თუმც, სასურველია შვიდწლიან გეგმაში უფრო მკაფიოდ განისაზღვროს სკოლის სტრატეგიული მიზნები და ამოცანები მოსწავლეთა და მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობასთან დაკავშირებით. აღნიშნულ საკითხთან მიმართებით სკოლას მიეცა შემდეგი **რჩევა:** სასურველია, სტრატეგიულ მიზნებში მკაფიოდ იყოს განსაზღვრული მოსწავლეთა და მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის საკითხები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას.**

სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და მოიცავს 4 პრიორიტეტს: სასწავლო კურიკულუმის განხორციელება და გაუმჯობესება (მათ შორის ინტეგრირებული და თემატური სწავლების დანერგვის ხელშეწყობა), მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუნჯობესება, თანამშრომელთა განვითარება და ადამიანური რესურსების ეფექტური მართვა. სამოქმედო გეგმა ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის მიმდინარე სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები,რეალისტური ვადები და პასუხისმგებელი პირები/ სტრუქტურული ერთეულები.

<u>სკოლის 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმით არ იყო განსაზღვრული შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსი. აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით სკოლამ წარმოადგინა 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები (ფინასური, ადამიანური, მატერიალური რესურსი). აქედან გამომდინარე, ინდიკატორის შეფასება შეიცვალა, კერძოდ, დასკვნის პროექტში ინდიკატორი „არ შეესაბამებოდა“, ხოლო არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ წარმოდგენილი მტკიცებულების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი შეფასდა „შესაბამისობით“.</u> **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 20 იანვრის N78-ე ბრძანება
- სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა
- სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ჯგუფის 2025 წლის დეკემბრის ანგარიში
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები
- საგნობრივი კათედრების მასალები

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. კერძოდ, მისიის, ხედვის, ღირებულების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მე-11 თავით განსაზღვრულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების საკითხები, მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირები, სასკოლო საზოგადოების წევრების და დაინტერესებული პირების უკუკავშირის გათვალისწინების მექანიზმები, მონიტორინგის განხორციელების, პასუხისმგებელი პირების მიერ ანგარიშგების მეთოდი და სხვა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

2025 წლის 11 სექტემბერს სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია ჯგუფი, რომელიც სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას განახორციელებს, შედეგებს სემესტრულად შეაჯამებს და გააცნობს სასკოლო საზოგადოებას. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოდგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პირველი სემესტრის მონიტორინგის ჯგუფის დაკვირვების შედეგები, რომელიც შესაბამისობაშია სტრატეგიული დაგეგმარების განახლებული დოკუმენტის მოთხოვნებთან (03/02/2026; დირექტორის ბრძანება N15). გარდა ამისა, აღნიშნული დოკუმენტით მონიტორინგი განხორციელდება სასწავლო წლის განმავლობაში და საბოლოო შედეგები შეჯამდება წელიწადში ერთხელ, აგვისტო-სექტემბერში მომდევნო სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების პროცესში ჯგუფის წევრების გარდა მონაწილეობენ სასკოლო საზოგადოება და სხვა დაინტერესებული მხარეები. დოკუმენტის მიხედვით და სკოლის მენეჯმენტის განმარტებით, სამოქმედო გეგმის მონიტორინგისთვის სკოლა იყენებს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს. მონიტორინგის შედეგების განხილვა და შეფასება ხორციელდება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე და საჭიროების შემთხვევაში ანგარიშებზე დაყრდნობით ხდება სტრატეგიულ/სამოქმედო გეგმებში ცვლილებების შეტანა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა 2025-2026 ს.წ. სამოქმედო გეგმის შესრულების სემესტრული ანგარიში. სკოლის დირექტორის განმარტებით პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები სემესტრულად და/ან წლის ბოლოს წარმოადგენენ ანგარიშებს სამეურვე და პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე. სკოლის მენეჯმენტის განმარტებით, სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით განთავსდა საინფორმაციო დაფაზე და ვებ გვერდზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სამოქმედო გეგმების შესრულების 2025 წლის დეკემბრის ანგარიშში განხილულია ერთწლიანი გეგმით პირველ სემესტრში განსაზღვრული აქტივობების განხორციელების შედეგები - მიღწევები, გამოწვევები. შემუშავებული რეკომენდაციები რომელიც მოიცავს შემდეგ საკითხებს: სველი წერტილების სკოლის შენობაში შემოტანა, ინკლუზიური გარემოს გაუმჯობესება (პანდუსებით აღჭურვა), ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობესება, შემოქმედებითი და პროექტული სწავლების ხელშეწყობა და ამ მიმართულებით მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა. სკოლის მენეჯმენტთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დაწესებულება ითვალისწინებს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს შემდგომი გაუმჯობესებისათვის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები
- საგნობრივი კათედრების მასალები
- სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 20 იანვრის N78-ე ბრძანება (მონიტორინგის ჯგუფის შექმნის თაობაზე)
- სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა

- სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ჯგუფის 2025 წლის დეკემბრის ანგარიშ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ **მეტწილად შეესაბამება**

☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**

☐ **არ შეესაბამება**

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები განსაზღვრულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში, რომელიც დამტკიცებულია სკოლის სამეურვეო საბჭოს N 2 სხდომაზე (15/09/2023). აღნიშნულ დოკუმენტში აღწერილია პერსონალის მართვის ისეთი საკითხები, როგორიცაა პოლიტიკის მიზნები და ამოცანები, მართვის ციკლი, პერსონალის დანიშვნის, მოზიდვის, მასწავლებლის შერჩევის, კონკურსის გამოცხადების, კომისიის შექმნის წესი და საქმიანობა, კონკურსის ეტაპები, ახალი თანამშრომლების სოციალიზაცია, შესრულებული სამუშაოს შეფასების, პროფესიული და კარიერული განვითარების ხელშემწყობის პროცესები და სხვა.

გრაფიკული სახით წარმოდგენილი სკოლის სტრუქტურით განსაზღვრულია სკოლის თანამდებობრივი დაქვემდებარებები, ურთიერთმიმართებები და მოიცავს შემდეგ ერთეულებს: სამეურვეო საბჭო, დირექცია - ადმინისტრაცია, პედაგოგიური საბჭო,

მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, კათედრები. ხარისხის განვითრების ჯგუფი და არასაშტატო ერთეულები.
ვიზიტის პერიოდში რაჭისუბნის საჯარო სკოლაში დასაქმებული იყო 15 უფროსი და 2 წამყვანი მასწავლებელი, 1 სპეციალური მასწავლებელი, 4 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი, დირექტორი, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, ფსიქოლოგი, სკოლის ექთანი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, ცეცხლფარეში, 2 დარაჯი, 2 დამლაგებელი.
დაწესებულებას შემუშავებული აქვს სამუშაო აღწერილობები, რომლებიც გაწერილია შრომით ხელშეკრულებებში და სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირების სამუშაო აღწერილობის დოკუმენტში. სკოლის სტრუქტურისა და წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით სკოლაში ფუნქციონირებს კანონმდებლობით განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები/რგოლები და მათი ფუნქციები განსაზღვრულია. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლაში მიმდინარე ძირითადი პროცესების ეფექტურად განხორციელებას ხელს უწყობს შემდეგი მარეგულირებელი დოკუმენტები: სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა და კათედრის დებულება. სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში კონკრეტული მიზნების, ამოცანების და აქტივობებისთვის განსაზღვრულია კონკრეტული პასუხისმგებელი პირები, რომელთა ფუნქცია-მოვალეობები გაწერილია სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირების სამუშაო აღწერილობის დოკუმენტში და შეესაბამება პოზიციით განსაზღვრულ თანამდებობრივ აღწერილობას. სტრუქტურულ ერთეულებსა და თანამშრომლებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები ისეა განაწილებული, რომ მათ შორის დამყარებული თანამშრომლობითი ურთიერთობა ხელს უწყობს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის სკოლის სტრუქტურა

- სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის საშტატო განრიგი
- სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის შინაგანაწესი
- სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის შრომითი ხელშეკრულებები
- სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის 2025-2026 ს.წ. სასკოლო სასწავლო გეგმა
- სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის კათედრების შეხვედრების ოქმები
- სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სამოქმედო გეგმა და ოქმები
- სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის ტრატეგიული გეგმა
- სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის სამოქმედო გეგმა
- ხელშეკრულებები

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

რაჭისუბნის საჯარო სკოლის მიერ შემუშავებული დოკუმენტები არეგულირებს სკოლაში პერსონალის მართვის პროცესებს. კერძოდ, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზანია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა, თანამშრომელთა მოტივაციის გაზრდის, კონკურსის გამოცხადების, მასწავლებლის დასაქმების და სხვა საკითხები. სკოლაში მასწავლებლის დასაქმება ხდება კონკურსის წესით.

ღია კონკურსის შემთხვევაში მასწავლებლის დასაქმების გვერდზე https://teacherjobs.ge/ ქვეყნდება ინფორმაცია კონკურსის გამოცხადების შესახებ. ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა საკონკურსო მასალა და დადგინდა, რომ შერჩევა მასწავლებელთა შერჩევა ხორციელდება შესაბამისი რეგულაციების დაცვით.
გარდა ამისა, პერსონალის მართვის გარკვეული წესები და პირობები რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით, რომელიც შემუშავებულია სკოლის დირექტორის მონაწილეობით და დამტკიცებულია 2025 წლის 8 სექტემბერს სამეურვეო საბჭოს N2 სხდომაზე. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს შრომითი ურთიერთობის ნორმებსა და წესებს. აღნიშნულ დოკუმენტში, კანონმდებლობის შესაბამისად, გაწერილია მართვის პროცესებთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები: შრომითი ურთიერთობების წარმოშობა, სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმები, წახალისებისა და დისციპლინური გადაცდომის საკითხები, განცხადების/საჩივრის განხილვის წესი და სხვა. მე-2 მუხლით განსაზღვრულია დასაქმებულ პირთა შრომითი და თანამდევი ურთიერთობების კონტროლი, სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო დღეს სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო, ცვლაში მუშაობისას – ცვლის ხანგრძლივობა, დასვენების ხანგრძლივობა, შრომის ანაზღაურების გაცემის დრო, ადგილი და წესი, ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, შრომის პირობების დაცვის წესები, წახალისების სახეები, განცხადების/საჩივრის განხილვის წესი და სხვა.
რაჭისუბნის საჯარო სკოლის პერსონალთან გაფორმებული ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებები შესაბამისობაშია შრომის კოდექსთან, სკოლის შინაგანაწესთან, სკოლის საქმიანობის სხვა მარეგულირებელ დოკუმენტებთან.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

რაჭისუბნის საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით გათვალისწინებულია ადამიანური რესურსის პრევენციული და ინტერვენციული მართვის პოლიტიკა. სკოლის შინაგანაწესის მე-5 თავით განსაზღვრულია სამუშაო ადგილზე დაგვიანებით გამოცხადებისა და გამოუცხადებლობის შემთხვევაში შეტყობინების წესი და დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში ფუნქციების დელეგირების მექანიზმები (მუხლი 9). სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ პედაგოგიური, ადმინისტრაციული თუ ტექნიკური პერსონალის დროებით ჩანაცვლების აუცილებლობის შემთხვევაში, სკოლა ახდენს მყისიერ რეაგირებას, რის გამოც არ ხდება სასკოლო პროცესის შეფერხება. სკოლის დისციპლინური კომიტეტი, საჭიროების შემთხვევაში, ინტერვენციების შესახებ, უფლებამოსილების ფარგლებში იღებს შესაბამის გადაწყვერტილებებს. გარდა ამისა, შრომითი ხელშეკრულებით მასწავლებელს ეკისრება ვალდებულება სკოლის დირექციასთან შეთანხმებით, შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ, სხვა მასწავლებლის მიერ გაკვეთილის

გაცდენის შემთხვევაში სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით ჩაატაროს შესაბამისი გაკვეთილი (მუხლი 3.317). **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით.**

რაჭისუბნის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღრულია პერსონალის შერჩევის და მართვის საკითხები, კერძოდ, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზნები და ამოცანები, მართვის ციკლი, პერსონალის დანიშვნის, მოზიდვის, მასწავლებლის შერჩევის, კონკურსის გამოცხადების, კომისსიის შექმნის, კონკურსის ეტაპების, ახალი თანამშრომლების სოციალიზაციის, შესრულებული სამუშაოს შეფასების წესი და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რომელიც დაეხმარება სკოლას პერსონალის შერჩევის, პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვაში.
კონკურსის მასალების გაცნობით დგინდება, რომ პოზიციებზე პერსონალის შერჩევა ხდება კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით შიდა, ღია ან კონკურსის გარეშე. კანდიდატისთვის წინასწარ განსაზღვრულია შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები. ვაკანსია ცხადდება teacherjobs.ge პლატფორმაზე და დაწესებულება ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ შესაბამისად.
სკოლის ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის საქმისწარმოების მეთოდოლოგიური დოკუმენტით და შინაგანაწესის მე-4 თავით განსაზღვრულია თანამშრომელთა პირად საქმეში განსათავსებელი დოკუმენტების ჩამონათვალი.
პერსონალის პირადი საქმეების შესწავლით დგინდება, რომ პირადი საქმეები მოიცავს თანამშრომელთა განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტებს და ცნობებს თანამშრომელთა ნასამართლეობის შესახებ, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ნასამართლეობის არარსებობის შესახებ, უფლების ჩამორთმევის შესახებ.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

რაჭისუბნის საჯარო სკოლას მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით შემუშავებული აქვს სკოლის

პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა დაათვალიერეს დაწესებულების Eschool - ის ბაზა. emis-ის ბაზის შესწავლის შედეგად ექსპერტთა მიერ დადგინდა, რომ სკოლაში სულ დასაქმებულია 15 უფროსი, 2 წამყვანი, 1 მოწვეული, 1 სპეციალური მასწავლებელი 4 სსსმ მოსწავლის ასისტენტი, 1 ფსიქოლოგი.
დაწესებულებას არ ჰყავდა კვალიფიციური კადრი ბიოლოგიასა და გეოგრაფიაში. მიმდინარე სასწავლო წელს აღნიშნულ საგნებს ასწავლიდნენ შიდა კონკურსის წესით შერჩეული პედაგოგები საგნობრივი ჯგუფიდან (გეოგრაფიას - საზოგადოებრივი მეცნიერებების, ხოლო ბიოლოგიას - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ჯგუფიდან). ვიზიტის პერიოდში სკოლამ განათავსა ვაკანსია (22/04/2026) გეოგრაფიისა და ბიოლოგიის პედაგოგების პოზიციებზე.
გარდა ამისა, მოწვეული მასწავლებელი არ იყო სერტიფიცირებული პედაგოგი (და ჰქონდა 9 საათზე მეტი დატვირთვა). სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით **აღნიშნული საკითხის მოგვარების ვადა განსაზღვრული არ იყო და შეფასებული იყო,,ნაწილობრივ".**

არგუმენტირებულ პოზიციაზე დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები, კერძოდ, სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე გამოცხადებულია ღია კონკურსი ვაკანტურ საათებზე, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულია კვალიფიციური კადრით სკოლის უზრუნველყოფის საკითხი 2026 წლის სექტემბრამდე და შეფასებულია ,,მეტწილად". შესაბამისად, **ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5.პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს
სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება გუნდური მუშაობის პრინციპებს. მასწავლებელთა, სკოლის სხვა პერსონალის და სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით ერთობლივად იგეგმება და ხორციელდება სასკოლო აქტივობები (საახალწლო ზეიმები, გასვლითი ღონისძიებები, ინტეგრირებული გაკვეთილები, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, დამატებითი რესურსები და სხვა). სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს და საგნობრივი კათედრების სხდომებზე შესაბამისი გადაწყვეტილებების მისაღებად განიხილება სკოლის მნიშვნელოვანი საკითხები.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

6.სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით და შინაგანაწესის მე-19 და მე-20 მუხლებით განსაზღვრულია თანამშრომელთა მოტივაციის გაზრდის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩამონათვალი. მათ შორის, წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი. სკოლის დირექტორის განმარტებით თანამშრომელთა წარმატებულ მიღწევებს ან აქტივობებს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა - ტარდება ერთობლივი შეხვედრები, ვებ გვერდზე ან სოციალურ ქსელში თავსდება ინფორმაცია და ა.შ. როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს, ისინი პროფესიული განვითარებისა და ხარისხის ჯგუფის ფარგლებში ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს და საუკეთესო გამოცდილებებს უზიარებენ ერთმანეთს.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის სკოლის სტრუქტურა
- სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის საშტატო განრიგი
- სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის შინაგანაწესი
- სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის შრომითი ხელშეკრულებები
- სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის 2025-2026 ს.წ. სასკოლო სასწავლო გეგმა, საათობრივი ბადე.
- სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
- სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის თანამშრომელთა პირადი საქმეები
- Eschool-ის ბაზის მონაცემები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

დაწესებულებას პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები გაწერილი აქვს შემდეგ დოკუმენტებში: ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, სამოქმედო გეგმა და სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმა. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მესამე პრიორიტეტი ეხება თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვას. სკოლის პროფესიული განვითრებისა და ხარისხის ჯგუფი პასუხისმგებელია მასწავლებელთა კომპეტენციების შეფასებასა და საჭიროებების დადგენაზე, დირექცია - თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობაზე და საუკეთესო კადრების მოძიებასა და შენარჩუნებაზე.

სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის ხარისხის ჯგუფის მასალებით დგინდება, რომ განსაზღვრულია შეფასების სახეები, პერიოდი, პროცესზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია პერსონალის მართვის საკითხები, კერძოდ, პოლიტიკის მიზნები და ამოცანები, მართვის ციკლი, პერსონალის დანიშვნის, მოზიდვის, მასწავლებლის შერჩევის, კონკურსის გამოცხადების, კომისსიის შექმნის წესი და საქმიანობა, კონკურსის ეტაპები, ახალი თანამშრომლების სოციალიზაცია, შესრულებული სამუშაოს შეფასების, პროფესიული და კარიერული განვითარების ხელშემწყობის პროცესები.

აღნიშნულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტით განსაზღვრულია თანამშრომელთა პროფესიული განვითარების მოთხოვნების იდენტიფიცირების საკითხი სამუშაოს კატეგორიის, თანამდებობრივი მოთხოვნებისა და ინდივიდუალური საჭიროებების ანალიზის საფუძველზე. დოკუმენტის მიხედვით, გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად მოხდება სხვადასხვა ღონისძიების შერჩევა და დაგეგმვა. პროფესიული განვითარებისა და ხარისხის ჯგუფის მიერ წარმოდგენილი მასალებით დგინდება, რომ სკოლა ხელს უწყობს პერსონალის განვითარებას სამომავლოდ გეგმავს გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით შეიმუშავოს თანამშრომელთა პროფესიული განვითარების გეგმა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლას ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტში, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქვს თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. მასწავლებელთა განმარტებით, სკოლის თანამშრომლობითი კულტურა ხელს უწყობს მათ პროფესიულ ზრდას. ამ მიზნით შექმნილია სოციალური ჯგუფები, თანამშრომლები დირექციისგან იღებენ შეტყობინებეს ტრენინგების თაობაზე და სკოლას აქვს მზაობა ხელი შეუწყოს მასწავლებელთა კარიერულ ზრდას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლაში არსებული სტაბილური გარემო, მათი მრავალწლიანი თანამშრომშრომლობითი კულტურა სამუშაო გარემოსთან ჯანსაღი ინტეგრაციის საშუალებას იძლევა. რაც შეეხება ახალ თანამშრომლებს, მათი ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით 2026 წლის 28 იანვარს სკოლის დირექტორის N9 ბრძანებით დამტკიცებულია ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის წესი, რომლის მიხედვით გაწერილია დოკუმენტის მიზნები, პასუხისმგებელი პირები, მიზნების შესაბამისი აქტივობები (ახალი თანამშრომლისათვის სკოლის დათვალიერება, ორგანიზაციული კულტურის გაცნობა, პირადი ფუნქცია-მოვალეობების გაცნობა, ინფორმირება სკოლაში მიმდინარე სასწავლო - აღმზრდელობით პროცესებზე, სკოლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაციის გაცნობა და სხვა). თანამშრომლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ ინტეგრირებულები არიან სამუშაო გარემოსთან, ჩართულნი არიან სკოლის საკომუნიკაციო დახურულ ჯგუფებში, იმართება გასვლითი კორპორატიული ღონისძიებები და სხვა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის შინაგანაწესის მე-8 თავის მე-19 მუხლით თანამშრომელთა მოტივაციის ამაღლების მიზნით, მუშაობაში მოპოვებულიწარმატებისთვის, დღესასწაულებთან დაკავშირებით, შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისთვის და ა.შ. განსაზღვრულია წახალისების შემდეგი ფორმები: მადლობის გამოცხადება, სიგელის გადაცემა, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ერთჯერადი ფულადი პრემიის გაცემა. შინაგანაწესის მე-20 მუხლით განსაზღვრულია წახალისების გამოყენების წესი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის შინაგანაწესი
- სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**
☐ **მეტწილად შეესაბამება**
☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**
☐ **არ შეესაბამება**

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს.**

სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვასთან დაკავშირებით წარმოადგენილი ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი (რომელიც მხოლოდ ბეჭედდასმულია და არ არის დამტკიცებული პ/პირის მიერ) იყო ზოგადი, კერძოდ, ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის შექმნილი სახელმძღვანელო დოკუმენტის ასლი და მასში არ იყო გაწერილი რაჭისუბნის საჯარო სკოლის საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასთან, განხორციელებასთან, მონიტორინგთან და შეფასებასთან დაკავშირებული აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და ა.შ. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი დოკუმენტის საფუძველზე რთული დასადგენი იყო, თუ როგორ ხორციელდებოდა სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა და ეფუძნება თუ არა იგი ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს.

დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის სახით აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის მტკიცებულებად წარმოადგინა სსიპ - ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, რომელიც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. აქედან გამომდინარე, ინდიკატორის შეფასება შეიცვალა, კერძოდ, დასკვნის პროექტში ინდიკატორი „არ შეესაბამებოდა“, ხოლო არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი შეფასდა „შესაბამისობით“. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლის მიერ წარმოდგენილ ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში ჩამოთვლილია მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული რიგი პროცესები გაწერილია სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში, სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში, 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმში. კერძოდ, სტრატეგიული დაგეგმვის პოლიტიკა გაწერილია სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგის დოკუმენტში. დამხმარე პროცესები აღწერილია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის, საქმისწარმოების წესის, ბიბლიოთეკის მუშაობის და სხვა დებულებებში.

საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესებთან დაკავშირებით სკოლამ მიიღო შემდეგი **რჩევა:** სასურველია, დაწესებულებამ შექმნას ერთი დოკუმენტი ან ხარისხის მართვის მექანიზმებში

აღწეროს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

რაჭისუბნის საჯარო სკოლა დოკუმენტურად შემუშავებული აქვს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა. შინაგანაწესის მე-8 თავის 29-ე მუხლით განსაზღვრულია თანამშრომელთა დისციპლინური სახდელის დაკისრებასთან დაკავშირებით გასაჩივრების წესი. მე-2 მუხლის მე-14 თავში განხილულია მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის გასაჩივრების წესი. შინაგანაწესის 45-ე მუხლით განსაზღვრულია განცხადების/საჩივრის განხილვის წესი. გარდა ამისა, სკოლას დამატებით შემუშავებული აქვს მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლების დაცვის მექანიზმები, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ (ბრძანება N13. 02/02/2026). აღნიშნული დოკუმენტი შესაბამისობაშია საქართველოს კანონთან ,,ზოგადი განათლების შესახებ“. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

რაჭისუბნის საჯარო სკოლის შინაგანაწესის 45-ე მუხლით განსაზღვრულია განცხადების/საჩივრის განხილვის წესი, რომელიც შესაბამისობაშია ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან. აღნიშნული კანონის შესაბამისად, მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლების დაცვის მექანიზმებში გაწერილია სასკოლო საზოგადოების წევრების უფლებების დაცვის პრინციპები (თავი 2, მუხლი 7, მუხლი 10). აღნიშნული ინფორმაციები საჯაროა, განთავსებულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ სკოლის მიდგომა კონკრეტულ საკითხთან/საკითხებთან მიმართებით იყოს არადისკრიმინაციული. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის შინაგანაწესი

- სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლების დაცვის მექანიზმები
- სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმები

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლას პერსონალური მონაცემების დაცვის პრინციპების გათვალისწინებით, დოკუმენტურად შემუშავებული აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები. პრიორიტეტების, მიღწევების, სიახლეების, აქტივობების და ა.შ. გაცნობა ხდება კლასის დამრიგებლების მიერ სადამრიგებლო კლასის და მშობელთა კრებებზე, სამეურვეო საბჭოსა და პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე, სამუშაო შეხვედრებზე და სხვა. სასკოლო საზოგადოების ინფორმირების საშუალებას წარმოადგენს საინფორმაციო დაფა, სოციალური ქსელი, სკოლის ვებ-გვერდი, ელექტრონული ფოსტა, დახურული ჯგუფები, Teams-ის პლატფორმა და სხვა.
უკუკავშირის გამოყენების მიზნით 2025 წლის ოქტომბერში ჩატარებულია მოსწავლეთა ანკეტირება, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა სასწავლო გარემოს, სკოლის უსაფრთხოების, მოსწავლეთა კმაყოფილებისა და საჭიროებების გამოვლენა და შეჯამება. შედეგების შესწავლის საფუძველზე, პასუხისმგებელი პირის მიერ მოხდა შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და მათი გაცნობა სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის. სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სკოლა გეგმავს კითხვარების გამოყენებას მომდევნო სასწავლო წლისათვისაც. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

რაჭისუბნის საჯარო სკოლის სტრუქტურა (რომელიც სკოლამ დამტკიცებული სახით არ წარმოუდგენია) მოიცავს ყველა ძირითად ერთეულს. წარმოდგენილი დოკუმენტაციით და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები ჩართულები არიან მართვის კოლეგიალურ ორგანოებში. სკოლის დირექტორის

განმარტებით, ზოგადი განათლების კანონის შესაბამისად, სკოლის ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობენ სამეურვეო საბჭოს, დისციპლინური კომიტეტის, მრჩეველთა საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრები. პედაგოგიური საბჭოს და სხვა სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები განსაზღვრულია კანონმდებლობით. მათი საქმიანობის შესწავლა მოხდა შესაბამისი შეხვედრის ოქმების გაცნობით, რაც გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

- სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის სტრუქტურა
- სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლების დაცვის მექანიზმები
- სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმები
- სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები
- სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები
- სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის 2025 – 2026 ს.წ. ანკეტირების შედეგები

☒ **შეესაბამება**

☐ **მეტწილად შეესაბამება**

☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

რაჭისუბნის საჯარო სკოლის ტერიტორია შემოსაზღვრული და დაცულია. სკოლის დირექტორის N 7 ბრძანებით (27/01/2026) შექმნილია საგანგებო სიტუაციების შტაბი და განსაზღვრულია მისი უფლება - მოვალეობები.
დირექტორის N8 ბრძანებით (27/01/2026) დამტკიცებულია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით შემუშავებული დოკუმენტი შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის 2017 წლის 06 ოქტომბრის N452 დადგენილების მოთხოვნებთან. კერძოდ, <u>საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებულია</u> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან (02/02/2026; MIA 02600350595) და შეესაბამება ,,საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის N452 დადგენილებით დამტკიცებული წესების მოთხოვნებს.

სასკოლო საზოგადოების უსაფრთხოების მიზნით სკოლის დირექტორის MES 4260000462216 ბრძანებით (08/09/2025) დამტკიცებულია სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ინსტრუმენტები.
განსაზღვრულია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირი.
სკოლას არ ჰყავს მანდატური, მაგრამ დასაქმებულთა და მოსწავლეთა ფიზიკურ დაცვას და უსაფრთხოებას უზრუნველყოფს სკოლის 2 დარაჯი.

სკოლა აღჭურვილია ვიდეოსამეთვალყურეო სისტემით. ვიზიტის პერიოდში კონტროლდებოდა გარე და შიდა პერიმეტრები გარდა კიბის უჯრედებისა. **არგუმენტირებული პოზიციისას** სკოლამ ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა კიბის უჯრედებში დამონტაჟებული 2 ვიდეო კამერის ფოტო მასალა.

რაც შეეხება სკოლის შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობას: შინაგანაწესის 44-ე მუხლით განსაზღვრულია შრომის დაცვისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციები, მათ შორის სკოლის ვალდებულებები და ადმინისტრაციის პასუხისმგებლობები, დასაქმებულის ვალდებულებები. სკოლაში უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია დარაჯი. ვიზიტის პერიოდში დაწესებულების ორივე სართულზე გამოკრული იყო შპს,,მეგა ჰოულდინგის (ს/კ 405237765) მიერ შესრულებული საევაკუაციო გეგმა და დამუხტული ცეცხლმაქრები. (ცეცხლმაქრები არ იყო განლაგებული საევაკუაციო გეგმის მიხედვით). სკოლამ 2026 წლის 22 იანვარს წერილით მიმართა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, მაგრამ ვიზიტის პერიოდში დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ მიღებული არ იყო (გარდა ამისა, ვიზიტამდე წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით არ იყო განსაზღვრული საკითხის მოგვარების ვადები).
არგუმენტირებული პოზიციისას სსიპ - ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლამ შესაბამისობით გეგმით აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 2027 წლის მაისამდე პერიოდი.

შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მომზადებასთან დაკავშირებით სკოლამ წარმოადგინა 2026 წლის 25 მარტის მიწერილობა MES 326 0000359346 სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში და ვიზიტამდე წამოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრა შეთანხმების ვადა - 22/01/2026-22/04/2026 წ.წ. ვიზიტის პერიოდში სკოლას აღნიშნული დასკვნა მიღებული არ ჰქონდა. გამომდინარე აქედან, დარღვეული იყო შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადები და სტანდარტით გათვლისწინებული მოთხოვნები.
არგუმენტირებული პოზიციისას სკოლამ შესაბამისობით გეგმით აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 2027 წლის მაისამდე პერიოდი.

სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლას მიეცა შემდეგი **რჩევა:** სასურველია, დაწესებულებამ აიყვანოს ან დასაქმებული პირებიდან გამოყოს და სათანადოდ გადაამზადოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი ან გააფორმოს ხელშეკრულება ორგანიზაციასთან, რომელიც გაუწევს შესაბამის მომსახურებას.

ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით შენობის პირველ სართულზე განთავსებული სამედიცინო მომსახურების კაბინეტი აკმაყოფილებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებლი ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი N41/ნ/01-23/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში ფუნქციონირების წესის"შესაბამის მოთხოვნებს. სამედიცინო კაბინეტი აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით და მედიკამენტებით.

სკოლას ექიმის პოზიციაზე გამოქვეყნებული ჰქონდა ვაკანსია, მაგრამ შესაბამისი კადრის მოძიება ვერ მოხერხდა და პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით ხელშეკრულება გაფორმა ექთანთან, რომელმაც წარმოადგინა გაწეული სამედიცინო მომსახურების, სამედიცინო შემთხვევების, დახარჯული და ვადაგასული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების აღრიცხვის ჟურნალები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

რაჭისუბნის საჯარო სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს სკოლის შინაგანაწესი. სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხების განხილვას და სკოლის დირექტორისთვის შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას. განსაზღვრულია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირი, სკოლაში არის მასწავლებელთა მორიგეობა. სკოლის მრჩეველთა საბჭოს N2 სხდომის ოქმით დასტურდება, რომ განხილულია სასკოლო დროს სკოლის ტერიტორიაზე მოსწავლეთა და თანამშრომელთა უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხები. სკოლის დირექტორის ბრძანებით N42 (21/04/2026) დამტკიცებულია სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ინსტრუქცია, რომლის შესრულებაც უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით სავალდებულოა ყველა თანამშრომლისა და მოსწავლისთვის. დოკუმენტით განსაზღვრულია მასწავლებლის და ადმინისტრაციის მოვალეობები, საგანგებო და კონფლიქტური სიტუაციების მართვის მექანიზმები და რეკომენდაციები. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

რაჭისუბნის სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეების ფსიქოლოგიური და ემოციური საჭიროებების იდენტიფიცირების, შედეგების შეფასების, მოსწავლისთვის დროული ფსიქოლოგიური მხარდაჭერის მექანიზმები. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილებით დამტკიცებული „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების“ შესაბამისად შემუშავებულია მოსწავლის რეფერირების წესი, რომელიც გულისხმობს მოსწავლის გადამისამართებას შესაბამის სპეციალისტთან/უწყებასთან მისი აკადემიური, ქცევითი, სოციალური ან ემოციური საჭიროებების დასადგენად და მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად. დოკუმენტით განსაზღვრულია რეფერირების საფუძვლები, რეფერირების პროცედურა, პასუხისმგებელი პირები, მონიტორინგის განხორციელებისა და კონფიდენციალურობ ის დაცვის საკითხები.
სკოლის დირექტორის ბრძნებით MES 9260000462194 (21/02/2026) განსაზღვრულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი (სკოლის ფსიქოლოგი). **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლას შემუშავებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. კერძოდ, 2026 წლის 24 თებერვლის N27 ბრძანებით განსაზღვრულია ყოველდღიური, ყოველკვირეული, ყოველთვიური დასუფთავების სტანდარტული მოთხოვნები. ვიზიტის პერიოდში სკოლას ემსახურებოდა 2 დამლაგებელი. სველი წერტილები და ტუალეტები განთავსებულია ეზოში. გამიჯნულია სანიტარული კვანძები გოგონებისა და ვაჟებისთვის. დასუფთავებისათვის გამოყენებული საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებები ინახება სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ, ჩაკეტილ სივრცეში/კარადაში.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

ვიზიტის პერიოდში რაჭისუბნის საჯარო სკოლამ წარმოადგინა თანამშრომლის პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობა. ასევე ბოლნისის მონიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ბრძანება 01/კ-30 21/03/2025 სკოლისთვის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის მომსახურებით უზრუნველყოფის შესახებ.
სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა აწესრიგებს სკოლის მიერ მონაცემთა დამუშავების საკითხებს, ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ, სკოლის სახელით მოქმედ ნებისმიერ პირზე და სავალდებულოა შესასრულებლად. სკოლის პერსონალისა და მოსწავლეთა პირადი საქმეები ინახება დაცულ, ჩაკეტილ ცეცხლგამძლე კარადაში. მშობლებმა, ექპერტთა ჯგუფთან შეხვედრისას, აღნიშნეს რომ სკოლა მათი თანხმობის გარეშე არ აზიარებს მოსწავლეთა პერონალურ მონაცემებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

დაწესებულების საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირია საქმისმწარმოებელი, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის შენახვა-დამუშავების და გაცემის წესის დაცვას სკოლის საქმისწარმოების და პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესების შესაბამისად. მოსწავლის პირადი საქმეები დაცულია კლასის დამრიგებლის პასუხისმგებლობით და ინახება ცეცხლგამძლე კარადაში. შემოსული განცხადება დაუყოვნებლივ რეგისტრირდება სკოლის eflow სისტემაში და ენიჭება შესაბამისი ნომერი. სკოლა ასევე უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული მონაცემების დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურების, მოპოვების, გამჟღავნების, დაკარგვის და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან. სკოლა იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა/ვებგვერდი არის ლიცენზირებული. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სასკოლო საზოგადოების წევრებმა ინტერვიუს დროს დაადასტურეს სკოლაში არსებული უსაფრთხო გარემოს არსებობა. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო (წარმოდგენილია სკოლის მრჩეველთა საბჭოს ოქმები). სკოლის დირექტორის განმარტებით, სკოლა გეგმავს ყოველწლიურად შეაფასოს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების საკითხები და შედეგები გამოიყენოს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. ამ მიზნით მიმდინარე წელს ჩატარებულია კლასის საათი მოსწავლეებისათვის, სამუშაო შეხვედრა დამრიგებლებთან და სხვა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა
- სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის მრჩეველთა საბჭოს ოქმი #1
- სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი

- სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის შინაგანაწესი
- სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის დირექტორის მიმართვა სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან
- სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის დირექტორის მიმართვა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან
- დამლაგებლის ხელშეკრულება
- დარაჯის ხელშეკრულება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ **შეესაბამება**
☒ **მეტწილად შეესაბამება**
☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**
☐ **არ შეესაბამება**

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლა მდებარეობს ბოლნისის

მუნიციპალიტეტში, სოფელ რაჭისუბანში.საჯარო რეესტრიდან ამონაწერით სკოლას (ს.კ. N 80.05.61.005) საკუთრებაში უფიქსირდება 11566.00კვ.მ. ნაკვეთი. აქედან შენობა ნაგებობების ძირითადი ფართით – 567,6 კვ.მ, დამხმარე ფართი – 234,6

კვ. მ. სკოლის ორსართულიანი **შენობა სარეაბილიტაციოა.** აღნიშნულ ფართში განთავსებული საკლასო ოთახების რაოდენობა შეესაბამება კლასების რაოდენობას (12 საკლასო ოთახი), კომპიუტერული ლაბორატორია აღჭურვილია ტექნიკური საშუალებებით და განთავსებულია სკოლის ბიბლიოთეკაში. რესურს ოთახი, სამედიცინო კაბინეტი, ბუღალტრის ოთახი, სამასწავლებლო აღჭურვილია შესაბამისი რესურსით. დახურული სპორტული დარბაზი საჭირო ინვენტარით განთავსებულია ეზოში (სკოლის ძირითადი შენობიდან მოშორებით). სკოლას აქვს მცირე ზომის სააქტო დარბაზი, რომელიც ვიზიტის პერიოდში გამოყენებული იყო საკლასო ოთახად. საკლასო ოთახები აღჭურვილია მოსწავლეთა ასაკის შესაბამისი ინდივიდუალური მერხებით, სკამებით, დაფებით, მასწავლებლის მაგიდით და სხვა. სკოლას აქვს პროექტორი, პრინტერები, პერსონალური კომპიუტერები, ლეპტოპები. სკოლაში სასწავლო პროცესი ერთცვლიანია და ამ ეტაპზე 76 მოსწავლე სწავლობს. სკოლა უზრუნველყოფილია დენით და ცენტრალური გათბობით.

ინფრასტრუქტურის დათვალიერებისას დადგინდა მცირედი უზუსტობები აზომვით ნახაზთან, ამიტომ სკოლამ ექსპერტებისაგან **მიიღო რჩევა,** მოხდეს აზომვითი ნახაზის განახლება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის.**

სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის და იძლევა სხვადასხვა აქტივობების ჩატარების საშუალებას. დიდი და ნათელი დერეფნები შესვენების პერიოდში მოსწავლეებს სრულფასოვანი დასვენებისა და სოციალური ინტერაქციის შესაძლებლობას აძლევს. სკოლას აქვს საერთო სარგებლობის კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, სამედიცინო კაბინეტი, სპორტული დარბაზი, სამასწავლებლო (რომელიც აღჭურვილია კომპიუტერებით და შესაბამისი მატერიალური რესურსით - მაგიდები, სკამები, კარადა), სკოლის ეზო, სადაც დირექციის და მოსწავლეთა თვითმმართველობის განმარტებით ტარდება სასკოლო ღონისძიებები. შემუშავებულია ბიბლიოთეკაში მუშაობის დებულება, კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი (ბრძ.N 16; 03/02/2026წ.). აღნიშნული წესებით განსაზღვრული რეგულაციები ხელს უწყობს სკოლაში არსებული საზიარო სივრცეების და მატერიალური რესურსის ხელმისაწვდომობას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

რაჭისუბნის საჭარო სკოლის ბიბლიოთეკა განთავსებულია შენობის მეორე სართულზე. ოთახის ნაწილი ეთმობა კომპიუტერულ ლაბორატორიას, ნაწილი - ბიბლიოთეკას (წიგნების საცავს და სამკითხველოს). შემუშავებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომლის მიხედვითაც დარეგულირებულია ბიბლიოთეკაში არსებული მატერიალური თუ ელექტრონული რესურსების აღრიცხვა/დამუშავება და სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის საბიბლიოთეკო სერვისებით სარგებლობა. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი და მასთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. ვიზიტის პერიოდში სკოლაში ირიცხებოდა მხატვრული ლიტერატურა ქართულ და ინგლისურ ენაზე (სულ 1860 წიგნი). **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლის შენობა, ღია სივრცე, თუ ინვენტარი <u>**არ ან ნაწილობრივ ითვალისწინებს**</u> შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების გადაადგილების საშუალებას. საერთო სარგებლობის სივრცეების შენობის 2 სართულზე განლაგება და სკოლის ეზოში განაწილება ხელს არ უწყობს კურიკულუმით განსაზღვრულ ან/და სხვადასხვა აქტივობის სირთულეების გარეშე განხორციელებას. სკოლამ საკუთარი სახსრების შეიძინა პლინტუსების ნაწილი, რომელიც სრულად არ ფარავს სკოლის პერიმეტრს. <u>სკოლამ ვიზიტამდე წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით საკითხის მოგვარების დროდ განსაზღვრა 2026 წლის 3 თებერვალი და შეაფასა „ნაწილობრივ“. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, არგუმენტირებული პოზიციისას წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (2028 წლის მაისი) უზრუნველყოს სკოლაში ინკლუზიური გარემოს შექმნა.</u> **ინდიკატორი ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის შენობა-ნაგებობა შესაძლებლობას უქმნის მოსწავლეებს და მასწავლებლებს სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები. ამ მიზნით, სკოლაში არსებობს სპორტული დარბაზი, კომპიუტერების ოთახი/ბიბლიოთეკა. მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ გაკვეთილების შემდეგ დარჩნენ და დაგეგმონ კონკრეტული აქტივობები. მოსწავლეებთან და სკოლის დირექციასთან საუბრით დგინდება, რომ მიმდანარე სასწავლო წელს სკოლის ეზოში ჩატარდა საახალწლო ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობდნენ სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები და სხვა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის ინვენტარიზაციის შედეგები
- სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი
- ბიბლიოთეკარის ხელშეკრულება
- სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი.
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის აზომვითი ნახაზი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ **შეესაბამება**
☐ **მეტწილად შეესაბამება**
☒ **ნაწილობრივ შეესაბამება**
☐ **არ შეესაბამება**

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

რაჭისუბნის საჯარო სკოლა სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვისთვის აღჭურვილია სათანადო რაოდენობის პროგრამულად გამართული კომპიუტერებით (კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებულია 7 კომპიუტერი, 1 პროექტორი, პირველადი დახმარების ოთახში - 1 კომპიუტერი, რესურს ოთახში - 1 კომპიუტერი, ბიბლიოთეკაში - 1 კომპიუტერი, სამასწავლებლოში - 4 კომპიუტერი, ადმინისტრაციისთვის გამოყოფილია 3 კომპიუტერი). კომპიუტერები გამართულია და უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლას შემუშავებული აქვს კომპიუტერულოი ლაბორატორიით სარგებლობის წესი (დირექტორის ბრძანება N 16; 02/03.2026). აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია ძირითადი პრინციპები, ლაბორატორიის სავალდებულო აღჭურვილობა, პასუხისმგებელი პირები, უსაფრთხოევბის საკითები და სხვა. დაწესებულებაში არსებული ტექნიკური საშუალებები ხელმისაწვდომია თანამშრომლებისა და მოსწავლეებისათვის. მნიშვნელოვანია სკოლის 2024-2026 წლების ციფრული განვითარების გეგმა, რომელიც ხელს უწყობს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობას სასკოლო საზოგადოებისათვის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის სტრატეგიული გეგმა
- სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის საინფორმაციო ტექნოლოგიების ფლობის დოკუმენტაცია
- სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის კომპიუტერულოი ლაბორატორიით სარგებლობის წესი

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლას კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც დამტკიცებულია N28 ბრძანებით 2026 წლის 24 თებერვალს სკოლის დირექტორის მიერ. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია ბრძანებების, შემოსული და გასული წერილების, გამოცემული აქტების და კორესპოდენციების აღრიცხვის პროცედურები. ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალები დანომრილი, ბეჭედდასმული, აკინძული და ხელმოწერილია უფლებამოსილი პირის მიერ. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლა შიდა და გარე კომუნიკაციისათვის იყენებს საქმისწარმოების/დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას Eflow, eSchool. საქმისწარმოების წესის 23-ე მუხლით განსაზღვრულია სკოლის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა. დაწესებულების ყველა მასწავლებელს აქვს აქტიური eflow-სისტემა, ცენტრალიზებულად შექმნილია ელექტრონული ფოსტები @teachers.gov.ge, რომლის საშუალებითაც პედაგოგები რეგისტრირდებიან მასწავლებელთა პროფესიული ცენტრის მიერ გამოცხადებულ სავალდებულო ტრენინგებზე. დაწესებულება ასევე იყენებს მართვის თანამედროვე ტექნოლოგიებს: Google, Office 365 და სხვა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

რაჭისუბნის საჯარო სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში და კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადების დაცვით სრულყოფილად ასახავს საჭირო ინფორმაციას განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. მაგალითად, პერსონალის მონაცემები, მოსწავლეთა გადანაწილება კლასებში, საგაკვეთილო ცხრილები, საშტატო განრიგი, არჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები და სხვა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

რაჭისუბნის საჯარო სკოლის დირექტორის და საქმისმწარმოებლის განმარტებით, სკოლა თანამშრომლობს და სისტემატიურად აწვდის ინფორმაციას, ანგარიშებს და უკუკავშირს საგანმანთლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს (რაც შესწავლილი მასალებითაც დასტურდება). **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის საქმისწარმოების წესი
- სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის ზოგადი განათლების საინფორმაციო სისტემის მონაცემები

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

რაჭისუბნის საჯარო სკოლა საკუთარი საქმიანობისა და მიღწევების შესახებ საზოგადოების ინფორმირებისათვის იყენებს სოციალურ ქსელს და სკოლის ვებ გვერდს [სკოლის გვერდი განათლების სამინისტროს პორტალზე,](#) რომელიც ჩაშენებულია სკოლების ერთიან საინფორმაციო პორტალზე, რომლის ტექნიკურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (EMIS). მასზე განთავსებულია დაწესებულების შესახებ საკონტაქტო ინფორმაცია და იძლევა დაწესებულებასთან ინტერნეტით კომუნიკაციის შესაძლებლობას. საინფორმაციო ფუნქციის შესრულების მიზნით, ვებგვერდზე და სოციალური ქსელის გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია დაწესებულების მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

რაჭისუბნის საჯარო სკოლის დირექტორის განმარტებით, დაწესებულება ეყრდნობა ოფიციალური სტრუქტურებიდან მიღებულ სანდო ინფორმაციას და კანონმდებლობის შესაბამისად ახდენს მის გასაჯაროებას. ინფორმაციის განთავსებაზე გამოყოფილია პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის დროულად განთავსებას სკოლის ვებგვერდზე - სკოლის გვერდი განათლების სამინისტროს პორტალზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ საკუთარი საქმიანობის გასაუმჯობესებლად სკოლა ხშირად იყენებს დაწესებულების ინდივიდუალური შეხვედრებიდან, სატელეფონო საუბრებიდან და ა.შ. შემოსულ ინფორმაციებს და ითვალისწინებს საზოგადოების/თემის მოსაზრებებს მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად. მიმდინარე წელს საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებული ინფორმაციების საფუძველზე დაიგეგმა ექსკურსიები საშუალო საფეხურის მოსწავლეებისათვის და სხვა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ შექმნილი მოქმედი ვებ გვერდი სკოლის გვერდი განათლების სამინისტროს პორტალზე, რომელიც ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას ქართულ ენაზე (სკოლა სწავლებას ახორციელებს ქართულ ენაზე). **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

https://skolebi.emis.ge/-ზე განთავსებულია ინფორმაცია სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის შესახებ ძირითადი ინფორმაცია: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრატეგიული გეგმა, სამოქმედო გეგმა,2025-2026ს.წლის სამოქმედო გეგმის შესრულების პირველი სემესტრის ანგარიში, მოსწავლის ქცევის წესები,

შინაგანაწესი, ინფორმაცია მოსწავლეთა პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები,_პირველკლასელთა ლიმიტი და საკონტაქტო ინფორმაცია და სხვა.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის ვებ გვერდი

სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემის პროფილი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ **მეტწილად შეესაბამება**

☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**

☐ **არ შეესაბამება**

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის ფინანსური რესურსის და წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ სკოლის ძირითად შემოსავალს შეადგენს ვაუჩერული დაფინანსება. თანხები ხმარდება სახელფასო ფონდს, კომუნალურ ხარჯებს, სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებების და საგანმანათლებლო რესურსების შეძენას. სკოლის ფინანსური რესურსის განკარგვა ხდება სამეურვეო საბჭოს

მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად. დირექტორი სასკოლო საზოგადოებას წლის ბოლოს წარუდგენს ანგარიშს, ხოლო წლის განმავლობაში მომხდარი ფინანსური ცვლილებების მიხედვით ხდება ბიუჯეტის კორექტირება. 2026 წლის ბიუჯეტში სკოლის განვითარებისთვის განსაზღვრული თანხები ხელს უწყობს სკოლის სტრატეგიულ განვითარებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლა ფინანსურ რესურსებს განკარგავს კანონმდებლობის შესაბამისად. წლის ბოლოს (ნოემბერში) ბაზრის კვლევის საფუძველზე დირექტორი ამტკიცებს მომავალი წლის შესყიდვების გეგმას და იტვირთება spa.ge-ზე. შესყიდვების გეგმის შემუშავებაში მონაწილეობს სასკოლო საზოგადოება (მასწავლებლები, ექთანი, ბიბლიოთეკარი, კათედრის გამგეები და სხვა), რომლებიც წინასწარ წარმოადგენენ მათთვის საჭირო რესურსების ჩამონათვალს. შემსყიდველ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, მიღება–ჩაბარების აქტები, ანგარიშ ფაქტურები, ზედნადებები ადასტურებს სკოლაში ფინანსური რესურსების დაგეგმვის, განკარგვისა და მონიტორინგის სისტემის არსებობას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის ბიუჯეტი
- სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის ფინანსური აქტივების ინვენტარიზაციის შედეგები
- ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

დაწესებულებაში უზრუნველყოფილია მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა. სკოლის ინფრასტრუქტურით და საგანმანათლებლო რესურსებით მოსწავლეები სარგებლობენ დისკრიმინაციის გარეშე (მატერიალური რესურსით სარგებლობის წესის შესაბამისად). მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის მიზნით, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე შემუშავებული შიდა რეგულაციები აღწერილია შემდეგ დოკუმენტებში: სკოლის შინაგანაწესი, ხელშეკრულება სკოლასა და მშობელს შორის, ბავშვთა დაცვის (რეფერირების) წესი, მოსწავლეთა თვითმმართველობისა და მრჩეველთა საბჭოს დებულებები. სკოლის მოსწავლეებთან გასაუბრებით დგინდება, რომ მათი უფლებების დარღვევის შემთხვევაში, მოსწავლეები მიმართავენ კლასის დამრიგებელს, საჭიროების შემთხვევაში კი სკოლის ადმინისტრაციას.

კლასის დამრიგებლები სასწავლო წლის განმავლობაში რეგულარულად აცნობენ მოსწავლეებს უფლებებსა და მოვალეობებს. მათ შორის სკოლის მართვაში მონაწილეობის უფლების, გასაჩივრების უფლების, გამოხატვის თავისუფლების შესახებ და ა.შ. ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და სპეციალური მასწავლებლის ჩართულობა უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლეების ინკლუზიურ მონაწილეობას სასწავლო პროცესში და განათლების უფლების დაცვას. აღნიშნული მიდგომები ადასტურებს, რომ სკოლა შიდა რეგულაციებში გაწერილი ვალდებულებების შესრულებით უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებების დაცვას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ რაჭისუბნის საჯარო სკოლაში სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის ხელმისაწვდომია მოსწავლეთა უფლებები და მათი დაცვის მექანიზმები. მოსწავლეებთან გასაუბრებით დგინდება, რომ ამ მიზნით ტარდება საინფორმაციო შეხვედრები კლასის საათზე, მშობელთა კრებებზე, ფსიქოლოგთან შეხვედრებზე. მოსწავლეთა კანონიერი უფლებების შესახებ ინფორმაცია ასახულია მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში. სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე და განთავსებულია სკოლის პორტალზე. დამრიგებლების მეშვეობით უზრუნველყოფილია მოსწავლეთა და მშობელთა ინფორმირება მოსწავლის ქცევის წესების, შინაგანაწესის, უსაფრთხოების წესების შესახებ. დისციპლინური გადაცდომების შემთხვევაში განხორციელებული დისციპლინური დევნის პროცედურა გაწერილია სკოლის შინაგანაწესში (თავი 8) და ეფუძნება სამართლიანობის პრინციპს. შინაგანაწესის მე-14 თავით განსაზღვრულია განცხადების/ საჩივრის განხილვის წესი. მშობლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ დამრიგებელი ყველა ახალ მოსწავლესა და მის კანონიერ წარმომადგენელს/ მშობელს აცნობს მათ უფლებებსა და მოვალეობებს და უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის საფუძვლებს. მოსწავლეთა უფლებებისა და რეგულაციების ამსახველი დოკუმენტაცია განთავსებულია თვალსაჩინო ადგილას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

ზოგადი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად, სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში გაწერილია მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და სკოლის უფლებები და მოვალეობები, სკოლის მიერ მოსწავლის პერსონალური მონაცემების დამუშავების წესი, ხელშეკრულების მოქმედების ვადები, შეწყვეტის პირობები და სხვა მნიშვნელოვანი პირობები. მშობელსა და სკოლას შორის ასევე გაფორმებულია ხელშეკრულება სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის შესახებ, სადაც აღწერილია მშობლის, მოსწავლის და სკოლის უფლება - მოვალეობები. აღნიშნულის ფარგლებშიც ყველა მოსწავლე უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით. ხელშეკრულებები შეესაბამება კანონმდებლობას და ემსახურება მოსწავლის ხარისხისნი განათლების მიღებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის შინაგანაწესი
- სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი
- დამრიგებლის მუშაობის დებულება
- სადამრიგებლო პროგრამები
- მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულება.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესი. სკოლის შინაგანაწესის მე-11 თავში გაწერილია მოსწავლის პირველ კლასში მიღების წესები და ეტაპები - წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი, სხვადასხვა კლასში მოსწავლის მიღების წესი, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის წესი, მობილობის პროცედურა და სტატუსის შეჩერება-აღდგენის პირობები (მუხლი 42). საჯარო ინფორმაცია სასკოლო თემისთვის განთავსებულია სკოლის პორტალზე. გარდა ამისა, დაინტერესებული მხარეებისათვის ინფორმაციის მიწოდება ხორციელდება დამრიგებლებისა და სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ მოსწავლეთა მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები დამრიგებლებისა და სკოლის დირექციის მხრიდან ინფორმირებულები არიან მობილობის განხორციელების პროცედურების შესახებ, საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანხმობით, განსხვავებულ ვადებში ჩარიცხვისა და შეზღუდულ ვადაში მობილობის განხორციელების შესაძლებლობის არსებობის შესახებ. კლასის დამრიგებლები შეხვედრებზე მშობლებს აწვდიან ინფორმაციას სკოლაში მოსწავლის სტატუსის შეჩერება-აღდგენის პროცედურების და გაცდენების შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგის შესახებ. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს. მოსწავლეთა მიღება ხდება კანონმდებლობის შესაბამისად, სკოლაში არსებული თავისუფალი ადგილების ფარგლებში. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანების მიხედვით დადგენილ ვადებში და შესაბამისი პროცედურებით ხორციელდება სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა (რაც დასტურდება შესაბამისი ბრძანებებით). მოსწავლეთა ჩარიცხვას არეგულირებს სკოლის მიერ შემუშავებული მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესი. ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის N193/ნ ბრძანების შესაბამისად, მოსწავლეები სარგებლობენ მობილობის უფლებით. სკოლის მოსწავლეების მშობლები დამრიგებლებისა და სკოლის დირექციის მხრიდან ინფორმირებულები არიან მობილობის განხორციელების პროცედურების შესახებ. მობილობის პროცესის განხორციელებისას მოსწავლის სკოლიდან ამორიცხვა ხდება მშობლის განცხადების საფუძველზე. სკოლის დირექტორის განმარტებით დაცულია მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის გაცნობის მიზნით სკოლაში ტარდება საინფორმაციო შეხვედრები (მშობელთა კრებები) სასწავლო წლის დასაწყისში. დაწესებულებას აღნიშნული მომსახურების ძირითადი პირობები გაწერილი აქვს 2025-2026 ს.წ. სასკოლო სასწავლო გეგმით. გარდა ამისა, სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო სერვისების და დამატებითი აქტივობების შესახებ ინფორმაციის ყველასათვის თანაბარ ხელმისაწვდომობას სოციალური ქსელის, დახურული ჯგუფების და სხვა ონლაინ პლატფორმების გამოყენებით. სკოლაში მიმდინარეობს კლასგარეშე და საკლუბო მუშაობა. სასკოლო გარემო გაფორმებულია საგაკვეთილო და საკლუბო მუშაობის დროს შექმნილი საინფორმაციო პლაკატებით.. მომდევნო სასწავლო წლიდან იგეგმება სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა, რის საფუძველზეც განისაზღვრება არჩევითი საგნების ნუსხა. ინფორმაციის გავრცელების პროცესში სკოლა იცავს პერსონალური მონაცემების გავრცელების წესს და ინკლუზიურობის პრინციპებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული

სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო სერვისების და დამატებითი აქტივობების შესახებ ინფორმაციის ყველასათვის თანაბარ ხელმისაწვდომობას. მოსწავლეთა მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს სკოლა ინფორმაციას ძირითადად აწვდის მშობელთა კრებებზე დამრიგებლების მეშვეობით (რომლებიც მუდმივ კომუნიკაციაში იმყოფებიან მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან). სკოლის მიერ შეთავაზებული პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ ინფორმაცია მუშავდება სკოლის დირექციის მიერ და დაინტერესებულ პირს მიეწოდება მხოლოდ შეთანხმებული ინფორმაცია. შესაბამისად, სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არის გამჭვირვალე. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს იმ საგნობრივ პროგრამებს და სასკოლო აქტივობებს, რომლებიც ემსახურება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების განხორციელებას და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის შინაგანაწესი
- სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვისა და სტატუსის შეჩერების წესი
- დამრიგებლის მუშაობის დებულება
- სადამრიგებლო პროგრამები
- მოსწავლის ჩარიცხვა - ამორიცხვის ბრძანებები
- მშობელთა კრების ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლა დაინტერესებულია ხელი შეუწყოს პირველკლასელთა და მობილობის წესით გადმოსულ მოსწავლეთა სკოლაში ადაპტაციას. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, სკოლამ შეიმუშავა მოსწავლის ადაპტაციის წესი (სკოლის დირექტორის ბრძანება N17, 03.02.2026), რომელშიც გაწერილია სკოლის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები. სკოლაში ჯანსაღი გარემოს შექმნაში ჩართულია სასკოლო საზოგადოების ყველა წარმომადგენელი. მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ ამ მიმართულებით განსაკუთრებული როლი მასწავლებლებსა და კლასის დამრიგებლებს ეკისრებათ. სკოლა განსაკუთრებულად ემზადება პირველკლასელთა სკოლაში მიღებისათვის. სხვა სკოლიდან მოსწავლის გადმოსვლის შემთხვევაში, დამრიგებელი ამზადებს მიმღებ კლასს მოსწავლის დასახვედრად და ეხმარება სასკოლო გარემოსთან ადაპტაციაში. ადაპტაციის წესით განსაზღვრულია სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის მექანიზმები და მათი განხორციელების პროცედურები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

კლასის დამრიგებლები ახალ მოსწავლეებს ხელს უწყობენ ადაპტაციაში. ამ მიზნით, ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს წარუდგენენ თანაკლასელებს, აცნობენ საგნის მასწავლებლებს. გარემოს გასაცნობად ათვალიერებინებენ სკოლის შენობას და სასკოლო რესურსებს, აცნობენ შინაგანაწესს, სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ბიბლიოთეკით და სასწავლო რესურსებით სარგებლობის წესებს და სხვა. პირველკლასელთათვის ტრადიციულად ეწყობა საზეიმო მიღება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლის დირექტორის, საგნობრივი კათედრის ხელმძღვანელებისა და მოსწავლეთა განმარტებით, სკოლა მუდმივად ცდილობს ხელი შეუწყოს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას. მათ შორის დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლებთან დამატებითი კონსულტირების გზით. მოსწავლის აკადემიური მიღწევების, დისციპლინის, პიროვნული პრობლემებისა თუ წარმატებების შესახებ მშობლის ინფორმირება ხდება ინდივიდუალური შეხვედრების, ტელეფონის, ელექტრონული ჟურნალის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით. სკოლის ელექტრონულ ჟურნალში მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე წვდომა აქვს როგორც მოსწავლეს, ისე მშობელს. შესაბამისად, მშობელს ეძლევა შესაძლებლობა ყოველდღიურად მიიღოს ინფორმაცია შვილის აკადემიური მოსწრების შესახებ. მოსწავლეთა განმარტებით, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით საგნის მასწავლებლები სასწავლო პროცესის დროს მოსწავლეებს აწვდიან დროულ უკუკავშირს გასაუმჯობესებელ საკითხებთან დაკავშირებით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლა მოსწავლეებს უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. კერძოდ, მოსწავლეებს და მათ მშობლებს სკოლა დროულად აწვდის ინფორმაციას სკოლაში დაგეგმილი კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების შესახებ. მაგალითად, 2025-2026 ს.წ. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული ექსტერნატის, სემესტრული და წლიური გამოცდების დანიშვნის, მობილობისა და სკოლაში დაგეგმილი ნებისმიერი ტიპის ღონისძიების შესახებ და სხვა. კლასის დამრიგებლები და საგნის მასწავლებლები გონივრულ ვადებში კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით აწვდიან ინფორმაციას მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ იგი ღიაა მოსწავლეთა და მასწავლებელთა ინიციატივების მხარდასაჭერად. ინიციატივების არსებობის შემთხვევაში მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა მიმართონ სკოლის დირექტორს. მოსწავლეებს და მშობლებს აქვთ უფლება ინიციატივები დააყენონ დამრიგებლის წინაშეც. დაწესებულებაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა კლუბი, რომლის მისიაა გარემოს დაცვის მნიშვნელობის გააზრება, ეკოლოგიური კულტურის

ჩამოყალიბება და ბუნების მიმართ პასუხიმგებლობის გაზრდა. აღნიშნული კლუბის საქმიანობის ფარგლებში მოსწავლეებმა არაერთი აქტივობა დაგეგმეს და განახორციელეს. მოსწავლეებში შემოქმედებითი უნარების განვითარების, მეტყველების კულტურის გაუმჯობესების, სცენური უნარების ჩამოყალიბების და გუნდური მუშაობის უნარების გაძლიერების მიზნით სკოლაში ჩამოყალიბებულია თეატრალური წრე. ზემოთ აღნიშნული ღონისძიებების ამსახველი ფოტო-მასალა განთავსებულია სკოლის სოციალურ გვერდზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

სადამრიგებლო საათის ფარგლებში, დამრიგებლები ცდილობენ მოსწავლეთა პრობლემების იდენტიფიცირებას და გადაჭრის გზების შეთავაზებას. სკოლის მენეჯმენტის განმარტებით, მოსწავლეთა საჭიროებების დადგენას ემსახურება სპეციალურად შედგენილი მშობელთა და მოსწავლეთა კითხვარები, რომლის ანალიზის საფუძველზე იგეგმება მომავალში გასატარებელი ღონისძიებები მოსწავლეთა მოთხოვნებისა და ინტერესების დასაკმაყოფილებლად (აღნიშნული გამოკითხვა ჩატარებულია 2025 წლის ოქტომბერში). გარდა ამისა, მოსწავლეთა და მშობელთა მხრიდან უკუკავშირის მიღება ხდება ინდივიდუალურ შეხვედრებზე, კლასის კრებებზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლაში მოსწავლეთა ადაპტაციის წესი
- სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის საკლუბო მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია
- სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის სკოლის სოციალური გვერდი
- განხორციელებული პროექტების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხელმისაწვდომობას სკოლა უზრუნველყოფს სადამრიგებლო საათებზე საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან (პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლების პროგრამების შესახებ მოსწავლეების ინფორმირების გზით). ასევე, სკოლის ორგანიზებით ხორციელდება ვიზიტები რეგიონში არსებულ საწარმოებსა და დაწესებულებებში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა პერიოდულად აწვდის მათ ინფორმაციას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროფესიული სასწავლებლების მიერ დაგეგმილი ღია კარის დღეების, სიახლეებისა და საგანმანათლებლო სერვისების შესახებ.

მოსწავლეების და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირებას სკოლა ახორციელებს მშობელთა კრებებზე, სადამრიგებლო საათის ფარგლებში, სხვა საკომუნიკაციო ჯგუფებში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.**

სკოლის დირექციამ გასაუბრებისას განმარტა, რომ მოსწავლეთა კარიერული განვითარების დახმარების მიზნით შეაფასებს 2025-2026 წლის მომსახურების შედეგებს, გააკეთებს ანალიზს. ყველაფრის გათვალისწინებით დაიგეგმება შემდეგი წლის აქტივობები, რაც ხელს შეუწყობს პროგრესის მიღწევას ამ მიმართულებთ. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის მიერ სხვადასხვა ორგანიზაციაში განხორციელებული ვიზიტიების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
- სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის სადამრიგებლო პროგრამები

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია. ამჟამად სკოლაში ირიცხება 11 სსსმ მოსწავლე. სკოლას ჰყავს ერთი სპეციალური (სტატუსით უფროსი) მასწავლებელი, ოთხი ასისტენტი, შექმნილია ისგ-ს შემუშავების ჯგუფები, ინკლუზიური განთლების სამოქმედო გეგმა, ინკლუზიური განათლების მონიტორინგის ჯგუფი, ისგ თითოეული სსსმ მოსწავლისთვის. შემუშავებულია რესურს ოთახით სარგებლობის განრიგი. რესურს ოთახი მდებარეობს სკოლის პირველ სართულზე და ხელმისაწვდომია ეტლით მოსარგებლე მოსწავლეებისათვის. რესურს ოთახი აღჭურვილია რესურსებით, რომელთა შეძენა და დამზადება ხდება თითოეული მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე. სპეციალურ პედაგოგს საკუთარი ხელით აქვთ შექმნილი არაერთი განმავითარებელი რესურსი სსსმ მოსწავლეებისათვის. პერიოდულად ხორციელდება ისგ გეგმების მონიტორინგი და მათი განხილვა/გადახედვა. სკოლაში დანერგილია სადიაგნოსტიკო წერების პრაქტიკა - შეფასების ეს მექანიზმი საშუალებას იძლევა, დროულად იქნეს აღმოჩენილი მოსწავლეთა რისკ ჯგუფები, რომელთაც სწავლაში გარკვეული სირთულეები აქვთ და შესაბამისად დროულად ხდება ინტერვენციების დაგეგმვა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლაში ვიზიტის შედეგად დგინდება, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის ეფექტიანი სასწავლო სტრატეგიის შემუშავება და საგაკვეთილო პროცესში სწავლა-სწავლების ხარისხის გაუჯობესების ხელშეწყობა სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტს წარმოადგენს. სკოლა ზრუნავს სსსმ მოსწავლის სასკოლო საზოგადოებასთან ინტეგრაციაზე და ხელს უწყობს მათი ჩართულობის გაზრდას სასკოლო აქტივობებში. განხორციელებიული პროექტები, მოსწავლეთა მიერ შექმნილი პოსტერები და ნახატები ხელს უწყობს მოზარდებში ტოლერანტული განწყობის ზრდას განსხვავებული შესაძლებლობის მქონე თანატოლების მიმართ. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლეების ტრანზიციის გეგმა და ახორციელებს სასწავლო პროცესის დროს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის მიერ
- სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია
- სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის სსსმ მოსწავლეების ინდ.გეგმები
- სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლისწლიური ანგარიშები
- სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის მონიტორინგის ჯგუფის ოქმები

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი**

მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

სკოლა ჩართულია ,,საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის" პროგრამაში და ეთნიკურად აზერბაიჯანელ მოსწავლეებს შესაბამისი რეგულაციების დაცვით სთავაზობს ტრანსპორტით მომსახურებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;**

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით და წარმოდგენილი მასალების შესწავლით დგინდება, რომ სკოლაში განხორციელებული კლუბური და წრეობრივი მუშაობა, კლასგარეშე საქმიანობა ხორციელდება მხოლოდ ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესით, პირობებით და ემსახურება მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.**

სკოლის მიერ განხორციელებული კლუბების, წრეების და სხვა კლასგარეშე საქმიანობა ხორციელდება სკოლაში უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. თითოეულ კლუბს შემუშავებული აქვს დებულება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- *წრის სამოქმედო გეგმა*
- *კლუბის სამოქმედო გეგმა*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**
☐ **მეტწილად შეესაბამება**
☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**
☐ **არ შეესაბამება**

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი	☒ **შეესაბამება**

(დაწყებითი საფეხური)	☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას

სსიპ ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა დოკუმენტი - ,,კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია", რომელშიც კონკრეტულად და მკაფიოდ არის აღწერილი კურიკულუმის განვითარების პროცესის რეგულაციები. კურიკულუმის განვითარება მოიცავს კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების, გადასინჯვისა და რევიზიის უწყვეტ ფაზებს. კურუკულუმის დანერგვის ნაწილში, სასკოლო საზოგადოების გათვალისწინების ნება იკვეთება. გაწერილია მასწავლებლის, კათედრისა და დირექციის ფუნქციები. აღნიშნავენ, რომ ამ ეტაპზე კურიკულუმზე მუშაობის პროცესში ძირითადად გააქტიურებულია კათედრებისა და დირექციის როლი. თითოეული საფეხურის მასწავლებლები კურიკულუმების შემუშავების პროცესში თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ითვალისწინებენ ერთმანეთის აზრს. შეხვედრებზე მიმდინარეობს მსჯელობა მასწავლებლებს შორის როგორც კლასების, ისე მოსწავლეთა სუსტ და ძლიერ მხარეებზე. შესაბამისად, კურიკულუმების შედგენის დროს ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, დიფერენცირებულ მიდგომებს. კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ინტერესები. მშობლისა და მოსწავლის ინტერესები დადგენილია გამოკითხვის მეთოდით. მათი უკუკავშირების საფუძველზე არის დაგეგმილი რიგი აქტივობები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში ხაზგასმულია, რომ კურიკულუმების შემუშავების პროცესში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. ამის დასტურად, სკოლამ წარმოადგინა კათედრის სხდომის ოქმები, სადაც ასახულია კურიკულუმის შემუშავების პროცესი. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და კათედრებთან გასაუბრების შემდეგ დასტურდება, რომ სკოლა ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში დაწვრილებითაა გაწერილი მასწავლებლების, კათედრებისა და დირექციის წვლილი კურიკულუმის შემუშავების პროცესში. ამ დოკუმენტის თანახმად, კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესები. სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებში და მასწავლებლებთან გასაუბრებით ჩანს, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, რაც ასახულია საგნობრივი ჯგუფების მიერ შევსებულ სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმი, უპირველეს ყოვლისა, გაზიარებულია მასწავლებელთათვის, რასაც უზრუნველყოფს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია და კურიკულუმის დამტკიცების საკანონმდებლო ჩარჩო - კურიკულუმი თანხმდება სამეურვეო საბჭოსთან და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე. მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, ბეჭდვითი მასალები, სოციალური მედია, კრებები, სამუშაო შეხვედრები; მშობლებთან კურიკულუმის გაზიარება მშობელთა კრებების საშულებით ხდება. სკოლასთან ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმს უზიარებენ არამარტო საგნის, კათედრის ფარგლებში, არამედ სკოლის საერთო დონეზე. იმისათვის, რომ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესში აქტიურად იყოს ჩართული სასკოლო საზოგადოება, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია განსაზღვრავს/აკონკრეტებს მასწავლებლის, კათედრის, დირექციის როლს და ასევე მშობელთან კომუნიკაციის ნაწილში მოიაზრებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის გაზიარებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- პედ. საბჭოს ოქმი
- მშობელთა კრების ოქმები
- კათედრის მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ბუნებისმეტყველების სამივე საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში ჩანს, რომ საკითხების შესასწავლად დაგეგმილია და შუალედურ მიზნებად განსაზღვრულია შემოქმედებითი ტიპის დავალებები, ძირითადი საკითხები იმგვარადაა შერჩეული/დაჯგუფებული, რომ მათი დამუშავება მოითხოვს კომპლექსურ მიდგომებს, იძლევა დავალების ცალკეული კომპონენტების დიფერენცირების საშუალებას, დავალების კრიტერიუმები გათვლილია ცოდნის სამივე კატეგორიაზე, ხელს უწყობს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების განვითარებას და მიემართება ესგ-ს გძელვადიანი მიზნებისკენ. საკითხების დასამუშავებლად მოსწავლეებისათვის შეთავაზებულია ცხოვრებისეული/ნაცნობი კონტექსტები, დავალების პირობა მოსწავლეებისთვის მკაფიოს ხდის- რა საკითხის შესწავლას ემ სახურება დავალება, რა შემოქმედებითი პროდუქტი უნდა შექმნან და რა ცოდნა უნდა წარმოაჩინონ საკითხთან მიმართებით, კურიკულუმის ჩარჩოს დიზაინი კათედრაზე სხვადასხვანაირი იყო, თუმცა პირისპირ შეხვედრისას მასწავლებლებმა

	აღნიშნეს, რომ შეიმუშავებდნენ ერთნაირ დიზაინს. **<u>რჩევა</u>:** სასურველია, კათედრამ ყველა კლასში ერთი სახის დიზაინის მქონე კურიკულუმის ჩარჩო შეიმუშაოს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრეზე ორიენტირებულია მოსწავლეზე, კურიკულუმში ასახულია კომპლექსური დავალებები, რაც თავისთავად უბიძგებს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ჩარჩო დოკუმენტებში კარგად ჩანს მოსწავლეებზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვის გზები და მათ განვითარებაზე ზრუნვა, რასაც განაპირობებს კურიკულუმში გაწერილი ყველა სამიზნე ცნების დამუშავება, ნაჩვენებია შუალედური მიზნები, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად. თუმცა, კურიკულუმის ჩარჩოს დიზაინი მრავალფეროვანია, როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს, კათედრა იმუშავებს და შეჯერდება საერთო დიზაინზე. ამრიგად, **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** **<u>რჩევა:</u>** იმისათვის, რომ საგნობრივი კურიკულუმები სრულყოფილად იყოს მოსწავლეზე ორიენტირებულად მორგებული, საჭიროა კათედრამ ყველა კლასში ერთი სახის დიზაინის მქონე კურიკულუმის ჩარჩო შეიმუშაოს.
უცხოური ენები	წარმოდგენილი უცხოური ენების საგნობრივი პროგრამებიდან ჩანს, რომ ისინი დაფუძნებულია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით და სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებს ასევე მოსწავლის პიროვნული განვითარებაც. საგნობრივ პროგრამებში წარმოდგენილ ძირითად საკითხებზე მუშაობა მოსწავლეებისგან მოითხოვს ისეთი ტიპის შეკითხვებზე დაფიქრებას და ისეთი კოგნიტური ოპერაციების შესრულებას, რომლებიც მიემართება ყველა ფუნქციურ-კომპონენტური უნარის გააქტიურებას. აღნიშნულზე დაყრდნობით და მასწავლებლებთან ინტერვიუს ანალიზის საფუძველზე

	შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები გრძელვადიან მიზნებად და აქვთ მზაობა, რომ გლობალური ფუნქციური უნარები განიხილონ უპირობოდ პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლებად (და არა სასწავლო მიზნებად); **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზდრის კათედრაზე, **დაწყებით და საბაზო საფეხურზე** წარმოდგენილი **სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების** კურიკულუმებში მკაფიოდაა განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნები. თემატური ბლოკებსა და თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, რომელთა დაძლევას/გააზრებას ემსახურება თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხები, განსაზღვრულია ქვეცნებები. კურიკულუმებში წარმოდგენილია შემოქმედებითი პროდუქტების, თუ კომპლექსური დავალების იდეები, ამთლიანებს და დინამიკაში წარმართავს პროცესს. რასაც ვერ ვიტყვით **მუსიკის** საგნის მიმართულებით, **დაწყებით** საფეხურზე მე-3 და მე-4 კლასების მუსიკის კურიკულუმში მითითებულია ძველი, 2018 წლის გრიფირებული სახელმძღვანელოები რაც ჰბადებს კითხვის ნიშანს საგნის სწავლებისასას, თუ როგორ, რა რესრუსებით და ხერხებით აღწევს სკოლა გრძელვადიანი შედეგების მიღწევას. **საბაზო** საფეხურზე წარმოდგენილ მე-7,8,9 კლასების **მუსიკის** საგნის კურიკულუმებში **არ არის** მითითებული მესამე სასწავლო თემა, რომლიც განსაზღვრავს ესგ-ის მუსიკის სტანდარტის ერთ-ერთ სავალდებულო თემატურ ბლოკს. შესაბამისად, საბაზო საფეხურზე, მუსიკის სწავლების მიმართულებით, არ ჩანს გრძელვადიანი მიზნების მიღწევის გზები სრულყოფილად. **საშუალო საფეხურზე მუსიკის** საგნის პროექტული სწავლების კურიკულუმის ნაცვლად წარმოდგენილია ჩვეულებრივი, სასწავლო პროექტის გეგმა, რომელიც შესაძლებელია სასკოლო ან რაიონულ დონეზე განხორციელდეს, როგორც არაფორმალური განათლების მიმართლებით ერთ-ერთი აქტივობა. წარმოდგენილ დოკუმენტში, სახელწოდება არ შეესაბამება სშუალო საფეხურის მუსიკის სტანდარტით განსაზღვრული პროექტების მიმართულებებს, აგრეთვე არ მუშავდება ცნებები, როგორც გრძლვადიანი მიზნების შედეგები. დოკუმენტში

	წარმოდგენილია ხარჯთაღრიცხვა და პროექტის განხორციელების ამოცანები და ვადები. საგნობრივი მიმართულებით კი, მუსიკის პროექტული სწავლებისათვის სკოლას და კათედრას უნდა წარმოედგინა კურიკულუმი სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნის, მე-10 კლასის, კურიკულუმის მსგავსად. მუსიკის გრიფირებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალში, სკოლას არ აქვს მითითებული პროექტული სწავლების ერთადერთი გრიფირებული სახელმძღვანელო - გამომცემლობა "პეგასი", ავტორები ი.ბარამიძე, ქ.ბაიაშვილი და არც საათობრივ ბადეში აქვს მითითებული მუსიკის პროექტული სწავლება. **<u>რჩევა</u>:** 1. **დაწყებით საფეხურზე,** მე-3 და მე-4 კლასების **მუსიკის** საგნის კურიკულუმში რესურსების გრაფაში სწორად უნდა იყოს მითითებული 2023 წლის გრიფირებული სახელმძღვანელოს ავტორები და გამომცემლობა; 2. საბაზო საფეხრუზე, მე-7,8,9 კლასების **მუსიკის** საგნის კურიკულუმებში აუცილებლად უნდა იყოს გაწერილი საგნობირვი სტანდარტის მიხედვით სამივე სავალდებულო თემატური ბლოკიდან თემები. თემების შესწავლისას შესაძლებელია, საკითხების შემცირება, თუმცა, თემების შეკვეცა- არა. **რეკომენდაცია:** საშუალო საფეხურზე, მუსიკის პროექტული საგნის სწავლებისათვის არ არის წარმოდგენილი კურიკულუმი. არც სკოლას, სასკოლო სასწავლო გეგმაში, საათობრივ ბადეში აქვს განსაზღვრული მე-11 კლასში სავალდებულო საგანი „პროექტული სწავლება" და საგნისათვის დათმობილი 1 კვირეული საათი. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რის თანახმადაც აღნიშნული შეუსაბამობის აღმოფხვრის თარიღია 2026 წლის მაისიდან 2026 წლის სექტემბრის პერიოდი. **ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაწავლისა და კათედრის წევრებთან გასაუბრების შეჯამების საფუძველზე, სასკოლო კურიკულუმში გათვალისწინებულია მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის მიდგომები და განვითარების ეტაპები. სკოლას დოკუმენტურად შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელსაც საგნობრივი პედაგოგები იყენებენ სასწავლო წლის დაგეგმვისას. როგორც

	სახელმწიფო ენის პედაგოგებთან გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული აქვთ გასული აკადემიური წლის შედეგების ანალიზი, მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები, სწავლების სუსტი და ძლიერ მხარეები, რათა ახალი სასწავლო წლის პროცესი დაიგეგმოს მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. სახელმწიფო ენის კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, ეს გამოჩნდა კურიკულუმში ჩაშენებულ დავალებებში, რომლებიც კათედრამ შეარჩია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად. სავალდებულო თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, შერჩეული ტექსტები ეფუძნება სახელმძღვანელოებით შემოთავაზებულ მასალას. საგნობრივ კურიკულუმებში ფორმულირებულია საფეხურებრივი საგნის სტანდარტები. მათი რეალიზების გზები ნაჩვენებია კომპლექსური ბუნების დავალებების სახით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** **<u>რჩევა:</u>** სასურველია, მასწავლებლებმა მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ მეტი აქცენტი გააკეთონ თემის ფარგლებში უფრო მეტი შემოქმედებითი ბუნების დავალების განხორციელებაზე ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით. კურიკულუმების შემდგომი განვითარების მიზნით აუცილებელია გასწორდეს ტექნიკური შეცდომები, მეტი ყურადღება მიექცეს ინფორმაციების სათანადო გრაფებში განთავსებას, ზოგიერთ შემთხვევაში შინაარსობრივად დაიხვეწოს დავალების იდეა. ყურადღება მიექცეს საგნობრივი კურიკულუმების როგორც შინაარსობრივ, ასევე ტექნიკურ და ვიზუალურ მხარეს, შემუშავდეს კურიკულუმის ერთიანი ჩარჩო.
მათემატიკა	წარმოდგენილი კურიკულუმები ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომებს. წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც მიემართება მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვასა და განვითარებას. კურიკულუმში მოცემული მრავალფეროვანი აქტივობები და სასწავლო რესურსები, ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სპორტი	კათედრებზე შემუშავებული კურიკულუმები, მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის

	დაგეგმვისა და განვითარების გზას წარმოადგენს. სამიზნე ცნებები, რომლებიც გრძელვადიან მიზნებს აზუსტებს, გამოდინარეობს საგნობრივი სტანდარტის შედეგებიდან, რაც საფეხურის ბოლოს უნდა იქნეს მიღწეული. გაწერილი თემები, აქტივობები, საკითხები, ცნებები და ქვეცნებები მოსწავლეს საგნობრივ ცოდნას აძლევს თითოეული თემიდან გამომდინარე, ხოლო გათვალისწინებული კომპლექსური დავალებები მოსწავლის გააქტიურებას განაპირობებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	მასწავლებლის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმი (II-დან VI კლასის ჩათვლით) წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარებისათვის. კურიკულუმი ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, შემუშავებულ კურიკულუმში შუალედურ მიზნებად მოაზრებულია სამიზნე ცნებები და მათი დამუშავებისთვის წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები (კომპლექსური დავალებების იდეები), რომლებიც შემუშავებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით და რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის ურთიერთდაკავშირებას. წარმოდგენილ კურიკულუმებში მუშავდება სტანდარტით გათვალისწინებული საგნობრივი მიმართულებები (კომპიუტერული ტექნოლოგიები, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და ციფრული წიგნიერება) და ასევე, ყველა სამიზნე ცნება. კურიკულუმის მიხედვით სწავლება ეფუძნება მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და ცხოვრებისეული გამოცდილების გათვალისწინებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილი კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეთა სწავლა-სწავლების პროცესის გამრავალფეროვნებასა და ჩართულობის გაზრდაზე. კათედრებთან საუბრისას, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ გავლილი წლის შედეგებიდან გამომდინარე, მოუწიათ ცვლილებების შეტანა კურიკულუმში, რათა კონკრეტული საკითხები უკეთ დაემუშავებინათ ბავშვებს. აღნიშნული შემოქმედებითი დავალებები მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებს და ითვალისწინებს მათ ასაკობრივ თავისებურებებს.

	ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურის ბუნებისმეტყველების საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია საგნობრივი სტანდარტის შესაბამისი ყველა სავალდებულო თემა-კლასების მიხედვით. თითოეული თემის ფარგლებში, მუშავდება ყველა ძირითადი საკითხი და ყველა სამიზნე ცნება შესაბამისი ქვეცნებებით, შემოქმედებითი ბუნების დავალებების კრიტერიუმები მიემართება გრძელვადიანი მიზნებისკენ (საფეხურის შედეგებისა და სამიზნე ცნებებისკენ,.) პედაგოგენთან გასაუბრებისას გამოიკვეთა,რომ სასწავლო პროცესში მიმდინარე აქტივობები ემსახურება დავალების კრიტერიუმების თანმიმდევრულ დამუშავებას, დავალების ცალკეული კომპონენტები ითვალისწინებენ კონსტრუქტივისტულ პრინციპებს და კეთებით სწავლების სტრატეგიებს, ხელს უწყობენ მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების,შემოქმედებითობის, თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. სასწავლო საგნის საათობრივი დატვირთვა და სემესტრული განაწილება უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. ძირითადი საკითხების დამუშავებისთვის განსაზღვრულია საკმარისი დრო. ხოლო მთლიანი თემისთვის დათმობილი დრო შესაბამისია სასწავლო საგნის საათობრივი დატვირთვისა და სემესტრული განაწილების. **<u>რჩევა:</u>** სასურველია, დაწყებით საფეხურზე (I-დან IV კლასების) ბუნებისმეტყველების საგნობრივი წლიური პროგრამების ამსახველ დოკუმენტში-კურიკულუმში ისევე ზუსტად აისახოს თემებისა და სამიზნე ცნებების მჭიდრო კორელაცია საგნობრივ სტანდარტთან, როგორც ეს არის საბაზო/საშუალო საფეხურების საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმებში წარმოდგენილია ეროვნული

	სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხები, საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები. შუალედურ მიზნად გამოყენებულია კომპლექსური ბუნების დავალებები, რაც უზრუნველყოფს გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებას და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნას. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მასწავლებელს საშუალებას აძლევს მოსწავლეს განუვითაროს ფუნქციური უნარები. კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლე ქმნის შემოქმედებით პროდუქტს, რომლის შესაქმნელადაც მას უწევს ითანამშრომლოს მასწავლებელთან და თანაკლასელებთან, იაზროვნოს კრიტიკულად, დასახოს გეგმა და გააკეთოს დასკვნები. ხელისშემწყობ გარემოებად იკვეთება სადამრიგებლო პროგრამებიც. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	წარმოდგენილ დოკუმენტებში ასახული შუალედური სასწავლო მიზნები და გრძელვადიანი მიზნები იძლევა შესაძლებლობას, რომ პროცესი იყოს ორიენტირებული პოზიტიურ სასწავლო გარემოზე. გრძელვადიანი მიზნები გაწერილია სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით, რომლებიც მიემართება ესგ-ით გათვალისწინებულ საფეხურებრივ შედეგებს. უმეტეს შემთხვევებში წარმოდგენილი და აღწერილია ცნებების, ქვეცნებებისა და ქვესაკითხების ჩამონათვალი, თუმცა არის უზუსტობებიც. მაგ: ზოგ შემთხვევაში გამოყენებულია ძველი სამიზნე ცნებები. ასევე ზოგ შემთხვევაში სტანდარტიდან დეტალურად არის ჩაშლილი სამიზნე ცნებების ქვეცნებები და ქვესაკითხები მოცულობითი რაოდენობით, ასევე სხვადასხვა კლასებისთვის გვხვდება განსხვავებული სტილის კურიკულუმის ჩარჩოს ფორმა. **შესაბამისად, ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს..** **<u>რჩევა:</u>** სასურველია კათედრაზე შემუშავებული იყოს ერთი კურიკულუმის ჩარჩოს დიზაინი, რომელიც გამოყენებული იქნება ორივე ენის მიერ (ინგლისური, რუსული).
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრის **დაწყებითი** და **საბაზო** საფეხურის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმები სრულად, ხოლო მუსიკის კურიკულმები ნაწილობრივ ითვალისწინებს ინდიკატორის მოთხვონებს. **სახვითი და გამოყენებითი**

	ხელოვნების კურიკულუმებში წარმოდგენილი თემები, თემატური ბლოკები, სამიზნე ცნებები, რესურსები, შემოქმედებითი პროდუქტის, თუ კომპელქსური დავალების იდეები იძლევა შესაძლებლობას მოსწავლის პროცესში ჩართვისათვის. ყოველივე ეს მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნების, სამიზნე ცნებების და შედეგების მიღწევისკენ. ხოლო **მუსიკის** საგანში **დაწყებით საფეხურზე** საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად არის გაწერილი თემები და მუშავდება საკითხები. ხოლო **საბაზო** საფეხურზე წარმოდგენილ მე-7,8,9 კლასების **მუსიკის** საგნის კურიკულუმებში **არ არის** მითითებული მესამე სასწავლო თემა, რომლიც განსაზღვრავს ესგ-ის მუსიკის სტანდარტის ერთ-ერთ სავალდებულო თემატურ ბლოკს. შესაბამისად, **საბაზო** საფეხურზე, მუსიკის სწავლების მიმართულებით, არ ჩანს გრძელვადიანი მიზნების მიღწევის გზები სრულყოფილად. **საშუალო საფეხურზე** არ არის წარომდგენილი **მუსიკის პროექტული სწავლების კურიკულუმი.** **რეკომენდაცია: 1. მუსიკის საბაზო საფეხურის კურიკულმებში არ არის** გაწერილი საგნობირვი სტანდარტის მიხედვით სამივე სავალდებულო თემატური ბლოკიდან თემები. რითიც ვერ მიიღწევა ესგ-ით გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნები. 2. **საშუალო საფეხურზე** არ არის წარომდგენილი **მუსიკის პროექტული სწავლების კურიკულუმი.** სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რის თანახმადაც აღნიშნული შეუსაბამობების აღმოფხვრის თარიღია 2026 წლის მაისიდან 2026 წლის სექტემბრის პერიოდი. **ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რადგან მასში არის გათვალისწინებული მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ცვლილებები. კურიკულუმში წარმოდგენილ დავალებებში, პირობის შინაარსთან ერთად, მითითებულია მოსწავლის მიერ შესასრულებელი პროდუქტის სახე. კომპლექსური და შემაჯამებელი დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეებში გრძელვადიანი მიზნების მიღწევას, კერძოდ, შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნების, სოციალური უნარების განვითარებას და ა.შ. კომპლექსურ და შემაჯამებელ დავალებებში გაწერილია სამიზნე ცნებები და შედეგები. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ესგ-ს მოთხოვნების შესაბამისად, განსაზღვრულია

	სავალდებულო თემები, თემებში საკითხების საშუალებით მუშავდება სამიზნე ცნებები. თუმცა, რიგ შემთხვევებში იკვეთება მცირე უზუსტობებიც. ამის მიუხედავად, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ესგ -ის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული შედეგები, ყველა სამიზნე ცნება და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები, რომლებსაც გაითვალისწინებენ მომდევნო სასწავლო წელს კურიკულუმების შემუშავებისას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** **<u>რჩევა:</u>** სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოში სავალდებულო თემები გაიწეროს სტანდარტის მიხედვით. პედაგოგებმა გაითვალისწინონ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, საგნობრივი სტანდარტი და სტანდარტის მიხედვით დახვეწონ კურიკულუმები, თემის შესაბამისი სამიზნე ცნებები და ქვეცნებები.
მათემატიკა	წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ე.ს.გ_ში განსაზღვრულ გრძელვადიან და შუალედურ მიზნებს. თემის ფარგლებში სამივე საფეხურზე მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, ხდება შუალედური მიზნების შემოქმედებითი ტიპის დავალებებით დამუშავება. კურიკულუმის ჩარჩოთი დგინდება, რომ პედაგოგები სხვადასხვა საკითხების სწავლებისას იყენებენ დამატებით სასწავლო ელექტრონულ და მატერიალურ რესურსებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სპორტი	სკოლის მხრიდან წარმოდგენილი კურიკულუმები სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს. გათვალისწინებული საგნობრივი პროგრამა იძლევა სამიზნე ცნებებამდე მისვლის საშუალებას. ხოლო თემები, აქტივობები, საკითხები, დავალებები და სხვა დამატებითი რესურსები მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართულობას უწყობს ხელს, ორიენტირებულია მის პიროვნულ განვითარებაზე და ფუნქციური უნარების დახვეწას უწყობს ხელს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას და ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებელს გააზრებული აქვს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები, საგნის სწავლების მიზანი. კომპლექსური ბუნების დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებსა და ქვეცნებებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ

	კომპლექსურ დავალებებთან ერთად ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირებით სკოლაში ხორციელდება ინტეგრირებული გაკვეთილები, სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების გააქტიურებასაც. მასწავლებელს გააზრებული აქვს, რომ კომპლექსური ბუნების დავალებები ხელს უწმობს მოსწავლეს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას პრობლემის გადაჭრას მიუდგეს შემოქმედებითად, გუნდური მუშაობის დროს ჩამოუყალიბდეს თანამშრომლობითი უნარები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმებში გაწერილია სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, ასევე შემოქმედებითი დავალებები, რომლებიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. ინტერვიუს დროს მასწავლებლებს მიეცათ კონკრეტული მითითებები, სადაც სამიზნე ცნებებს სჭირდებოდა უფრო მეტად გამოკვეთა/ჩაწერა და ასევე ცვლილების შეტანა. გარდა ამისა, სასურველია კურიკულუმებს ჰქონდეს ერთი დიზაინი/სტრუქტურა სადაც ნათლად იქნება წარმოდგენილი თითოეული კომპონენტი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია საგნობრივი სტანდარტის შესაბამისი ყველა სავალდებულო თემა-კლასების მიხედვით. თითოეული თემის ფარგლებში , მუშავდება ყველა ძირითადი საკითხი და ყველა სამიზნე ცნება შესაბამისი ქვეცნებებით, საკითხების დამუშავება დაგეგმილია შემოქმედებითი ბუნების დავალებებით და მათი კრიტერიუმები მიემართება გრძელვადიანი მიზნებისკენ (საფეხურის შედგებისა და სამიზნე ცნებებისკენ), სასწავლო საგნის საათობრივი დატვირთვა და სემესტრული განაწილება უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას თუმცა დაწყებითი საფეხურის კურიკულუნის ჩარჩოებში სტანდარტთან შეუსაბამოა წარმოდგენილი თემების და ცნებების როგორც რაოდენობა, ასევე ფორნულირება. იმის გათვალისწინებით, ის ფქტი, რომ ბუნებისმეტყველაბას და ბიოლოგიას ერთიდაიგივე პედაგოგი ასწავლის, მნიშვნელოვანია პედაგოგის გამოცდილება (კურიკულუმის სტანდარტთან შესაბამისობით წარმოების კუთხით) <u>**რჩევა:**</u> სასურველია, კურიკულუმებში ყველა ძირითად საკითხთან მიმართებით იყოს სრულად, სტანდარტან მიმართებით სწორად შევსებული ცნება/ქვეცნების, რესურსების გრაფა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას საჭირო რესურსების მრავალფეროვნება ცხადყოფს, რომ მოსწავლის განვითარება მხოლოდ სახელმძღვანელოთი არ შემოიფარგლება და სხვადასხვა ინსტრუმენტს ითვალისწინებს. მაგალითად, ფილმებს, ილუსტრაციებს, პოსტერის ნიმუშებს, რუკებს და ა.შ. სამწუხაროდ, სკოლა მდიდარი არ არის დამხმარე სასწალო რესურსებით, მაგრამ კურიკულუმის ჩარჩოში ასახულია კომპლექსური დავალებების დამუშავებისათვის დამხმარე რესურსები. აღნიშნული რესურსები მიზნობრივად მიემართება კომპლექსურ დავალებებს. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი თანამშრომლობენ კათედრებზე და ერთმანეთს უზიარებენ ინფორმაციას კონკრეტული მოსწავლის მიღწევების შესახებ, რის შემდეგაც კათედრის

	წევრები ერთად განიხილავენ თემებს, რესურსების ეფექტიანობას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	უცხოურ ენების კათედრის კურიკულუმებში ასახულია რესურსები, მათ შორის როგორც ძირითადი საგანმანათლებლო რესურსი — გრიფირებული სახელმძღვანელოები, ისე დამატებითი ციფრული რესურსები. წარმოდგენილი კურიკულუმით გათვალისწინებული ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე, **დაწყებით და საბაზო** საფეხურზე სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებასა და მუსიკაში კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსით. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, რაც წარმოდგენილია ფოტომასალის სახით. რაც შეეხება მუსიკას **დაწყებით** საფეხურზე მე-3 და მე-4 კლასების მუსიკის კურიკულუმში მითითებულია ძველი, 2018 წლის გრიფირებული სახელმძღვანელოები რაც ჰბადებს კითხვის ნიშანს თუ როგორ, რა რესრუსებით და ხერხებით აღწევს სკოლა გრძელვადიანი შედეგების მიღწევას საფეხურზე. **საშუალო საფეხურზე** არ არის წარომდგენილი **მუსიკის პროექტული სწავლების კურიკულუმი.** არც სკოლას, სასკოლო სასწავლო გეგმაში, საათობრივ ბადეში აქვს განსაზღვრული მე-11 კლასში სავალდებულო საგანი „პროექტული სწავლება“და საგნისათვის დათმობილი 1 კვირეული საათი და არც მუსიკის გრიფირებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალშია მითითებული პროექტული სწავლების ერთადერთი გრიფირებული სახელმძღვანელო - გამომცემლობა „პეგასი”, ავტორები ი. ბარამიძე, ქ. ბაიაშვილი. **რეკომენდაცია:** საშუალო საფეხურზე, ესგ-ით გათვალისწინებული სავალდებულო საგნის - მუსიკის პროექტული სწავლებისათვის არ არის წარმოდგენილი კურიკულუმი. არც სკოლას, სასკოლო სასწავლო გეგმაში, საათობრივ ბადეში აქვს განსაზღვრული მე-11 კლასში სავალდებულო საგანი„პროექტული სწავლება“და საგნისათვის დათმობილი 1 კვირეული საათი და არც მუსიკის გრიფირებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალშია მითითებული

	პროექტული სწავლების ერთადერთი გრიფირებული სახელმძღვანელო - გამომცემლობა „პეგასი", ავტორები ი.ბარამიძე, ქ. ბაიაშვილი. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რის თანახმადაც აღნიშნული შეუსაბამობის აღმოფხვრის თარიღია 2026 წლის მაისიდან 2026 წლის სექტემბრის პერიოდი. **ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსების ანალიზის მიხედვით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ: კურიკულუმი მოიცავს როგორც სახელმძღვანელოს, ასევე, დამატებით ტექსტებს, აუდიო-ვიზუალურ მასალებს, ელექტრონულ რესურსებს, ანიმაციებს, დოკუმენტურ და მხატვრულ ფილმებს. ყველა რესურსი უკავშირდება სამიზნე ცნებებს და შედეგებს. <u>**რჩევა:**</u> სასურველია სამომავლოდ კურიკულუმის უფრო მეტად გამრავალფეროვნება საგანმანათლებლო რესურსებით, (საგანმანათლებლო რესურსების ბმულები, მასწავლებლების ან მოსწავლეების მომზადებული მოდიფიცირებული რესურსები და სხვ.), ამასთანავე სასურველია, უკვე არსებული რესურსები კურიკულუმებში აისახოს ბმულების სახით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
მათემატიკა	წარმოდგენილ სამივე საფეხურის კურიკულუმებში ასახულია რესურსები, მათ შორის როგორც ძირითადი საგანმანათლებლო რესურსი — გრიფირებული სახელმძღვანელოები, ისე დამატებითი ციფრული რესურსები. წარმოდგენილი რესურსების შემოწმების შედეგად იკვეთება მათი მიზნობრივი და შინაარსობრივად შესაბამისი გამოყენება, რაც ემსახურება თემების, საკითხების, სამიზნე ცნებებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. კურიკულუმებში მითითებული რესურსები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და ქმნის საფუძველს ეფექტური სასწავლო პროცესის წარმართვისთვის **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში და დოკუმენტებში ასახული

	საგანმანათლებლო რესურსები: სახელმძღვანელოები, პოსტერები, თვალსაჩინოებები, განხორციელებული სპორტული აქტივობები, ონლაინ რესურსები, ორიენტირებულია მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე, ხელს უწყობს მოსწავლის სწავლა-სწავლების აქტიურ პროცესში ჩართვას და უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	კურიკულუმში წარმოდგენილია და შეთავაზებულია მოსწავლეზე მორგებული, მრავალფეროვანი სასწავლო მასალა და ელ. რესურსები, რაც მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. მოსწავლეები აქტიურად იყენებენ ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს სხვადასხვა საგანში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებსა და ფოტომასალაში ჩანს საგანმანათლებლო რესურსები, რომლებსაც მასწავლებლები იყენებენ სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნებისთვის. ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ რესურსებს ხშირად უზრუნველყოფს სკოლა, თუმცა ხანდახან თავად მასწავლებლებიც არიან პროცესში ჩართულები. მოსწავლეებს სკოლა სთავაზობს მრავალფეროვანი რესურსებით მეტნაკლებად უზრუნველყოფილ სასწავლო გარემოს, თუმცა კურიკულუმში წარმოდგენილ შემოქმედებით დავალებებისთვის აბსოლუტურად საკმარისია ჩამოთვლილი რესურსების გამოყენება და კათედრებს შორის გაზიარება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ სასწავლო პროცესში ორგანიზების სხვადასხვა ფორმის გამოყენების პრაქტიკა (ინდივიდუალური, ჯგუფური,

	წყვილები,), მოსწავლეთათვის თავისუფლების მიცემა აირჩიონ -პროდუქტის ფორმა (პოსტერი, ბუკლეტი, ესე, მოდელი და ა.შ) წარდგინების ფორმა და საშუალება (ზეპირი, წერითი, ელექტრონული, მატერიალური) ასევე კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსების ადაპტირების შესაძლებლობა, მასწავლებელს აძლევს საშუალებას, მოარგოს სასწავლო პროცესი მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა თუ სასწავლო ტემპს და ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებულია ინკლუზიური და დიფერენცირებული მიდგომები, თუმცა ასეთი მიდგომები უნდა ჩანდეს შემაჯამებელ დავალებებშიც. <u>**რჩევა:**</u> სასურველია, **სამივე საფეხურის** ბუნებისმეტყველების პედაგოგებმა კომპლექსური დავალების მატრიცებში(აქტივობებში) გაითვალისწინონ **ინკლუზიური და დიფერენცირებული** მიდგომები. სასურველია თუ ასეთი მიდგომები გათვალისწინებული იქნება დიაგნოსტიკური და შემაჯამებელი ტესტების შედგენისას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწალო პროცესის წარმართვა დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომებით თავისთავად აისახება კომპლექსური დავალებებით სწავლებაში, საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული კომპექსური დავალებების იდეაში გათვალისწინებულია ასაკობრივი ზღვარი, რაც აღნიშნული მიმართულების დაკონკრეტების შესაძლებლობას იძლევა. გასაუბრებისას მასწავლებლებში ჩანდა ხედვა, თუ როგორ წარმართავდნენ სასწავლო პროცესს ინდივიდუალური მიდგომებით მოსწავლეთა მიმართ. მაგალითად, რესურსის, პრეზენტაციის წარდგენის არჩევითობა, ასევე გამოიყენებენ შემოქმედებითი პროდუქტის შეთავაზებებს და სხვა. როგორც მასწავლებლები აღნიშნავდნენ, დიფერენცირებული მიდგომები უფრო მკაფიოდ აისახება უშუალოდ კომპლექსურ დავალებებში. აქედან გამომდინარე, **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებით სასწავლო პროცესი ითვალისწინებს

	დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს, ასევე, სკოლას აქვს კომპლექსური ბუნების მქონე დავალებებზე და ინდგეგმებზე მუშაობის გამოცდილება. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ საერთო ჯამში, მასწავლებლებს აქვთ სწავლების დიფერენცირებული მიდგომის პრაქტიკა და სასწავლო პროცესის ინკლუზიური ხედვა. მათ აქვთ მზაობა რომ სასწავლო პროცესი დაგეგმონ და წარმართონ მოქნილ გარემოში, კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, მათ შორის ინდივიდუალურ გეგმებში ჩანს, რომ სხვადასხვა საგნობრივ კათედრებს აქვთ მზაობა ინკლუზიური განათლების ხელშეწყობისთვის, რაც შეეხება ესთეტიკური აღზრდის კათედრის საგნებს, სასურველია მეტი აქტიური ჩართლობა ამ პროცესში, განსაკუთხებით შემოქმედებითი უნარების განვითარების მიზნით სსსმ მოსწავლეებში. **<u>რჩევა</u>:** თუ სკოლაში არიან სსსმ მოსწავლები და მათთვის სხვადასხვა საგნების კათედრები ამზადებენ ინდ. გეგმებს, სასურველია ესთეტიკურმა საგნებმაც მიიღონ მონაწილეობა ამ პროცესში. შესაძლებელია მოსწავლე არ საჭროებს ინდ. გეგმას, მაშინ დოკუმენტალურად უნდა გაიწეროს მოსწავლის აქტუალური დონე.
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული გამოცდილების, ინტერესებისა და მზაობის მქონე ინდივიდი. განსხვავებული შინაარსის კომპლექსური დავალებები, მრავალფეროვანი მეთოდები და სტრატეგიები, სხვადასხვა შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც უნდა შექმნან მოსწავლეებმა კომპლექსური დავალებების ფარგლებში, ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. ინკლუზიური გარემოს შექმნის მიზნით პედაგოგები ახდენენ კომპლექსური დავალების პირობის მოდიფიცერებას. მოსწავლეებს აძლევენ საშუალებას თავად აირჩიონ შესასრულებელი პროდუქტებიდან მათთვის სასურველი და მასზე იმუშაონ.

	ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. **<u>რჩევა:</u>** კურიკულუმი ინკლუზიურობისა და დიფერენცირებული მიდგომების ელემენტებს შეიცავს, თუმცა ეფექტურობის გაზრდისთვის სასურველია კიდევ უფრო მკაფიოდ გამოჩნდეს ინდივიდუალური მიდგომის სტრატეგიები, მაგალითად, როგორ ადაპტირდება დავალება განსხვავებული აკადემიური დონის მქონე მოსწავლეებისთვის.
მათემატიკა	წარმოდგენილი კურიკულუმების გაცნობისა და მასწავლებელთან გასაუბრების საფუძველზე იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია კლასში მყოფ ყველა მოსწავლესა და მათ ჩართულობაზე. მასწავლებელი დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს იყენებს, რათა თითოეული ბავშვის ინდივიდუალური შესაძლებლობა და ინტერესი იყოს გათვალისწინებული. ეს მიდგომა პრაქტიკულად ჩანს კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას, სადაც მოსწავლეებს აქვთ არჩევანის თავისუფლება. ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა, რომ მასწავლებელი მზად არის, საჭიროების შემთხვევაში, დაეხმაროს მოსწავლეებს დამატებითი ინსტრუქციებით ან დამხმარე მასალებით, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ არცერთი მოსწავლე არ დარჩეს პროცესის მიღმა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სპორტი	სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებულად მისი ინტერესებისა და შესაძლებლობიდან გამომდინარე. მასწავლებელი მოსწავლეს მასზე მორგებულ რესურსებსა და სასწავლო მასალას სთავაზობს, რაც მოსწავლეს სასწავლო პროცესში პროდუქტიულ ჩართულობას განაპირობებს. კომპლექსური ტიპის სამუშაო მოსწავლეს საშუალებას აძლევს ერთი და იგივე საკითხის, ერთი და იგივე სამიზნე ცნების დამუშავებისას, აირჩიოს სხვადასხვა დავალებები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	კურიკულუმში წარმოდგენილია მრავალფეროვანი და მოსწავლეზე მორგებული სასწავლო შინაარსი - შეთავაზებულია მოსწავლეზე მორგებული, მრავალფეროვანი სასწავლო მასალა და ელ. რესურსები, რაც მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. ინტერვიუს დროს პედაგოგმა აღნიშნა, რომ მას მოსწავლეთა ინდივიდუალური

	საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვს დაგეგმილ აქტივობებში, სთავაზობს დიფერენცირებულ მიდგომებსა და მათთვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს. პედაგოგმა აღნიშნა, რომ ის აძლევს მოსწავლეებს შესაძლებლობას გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებით. სკოლას გადმოგზავნილი აქვს ინდ. სასწავლო გეგმა, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, სადაც ჩანს თითოეული მოსწავლის ინტერესების, შესაძლებლობების და თავისებურებების გათვალისწინება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ საგაკვეთილო პროცესში დაწყებით საფეხურზე როგორც წესი, არ იკვეთება ისეთი სირთულე, როდესაც დგება მასალის დიფერენცირების საჭიროება. თუმცა როდესაც მსგავს ფაქტს აწყდებიან, სკოლას აქვს მზაობა მიუდგეს მოსწავლეს თავისი შესაძლებლობების შესაბამისად და შესთავაზოს მრავალფეროვანი, მასზე მორგებული სასწავლო რესურსი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლამ სამივე საფეხურისათვის წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. თემისა და ზოგიერთ შემთხვევაში განხორციელებული კომპლექსური დავალების საკითხთან მიმართებაში წარმოდგენილია შეფასება მკაფიო კრიტერიუმებითა და პედაგოგის უკუკავშირით. ასევე დამატებით გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში მოცემულია მოსწავლეთა თვითშეფასების სქემები, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ზოგიერთი სხვა ინსტრუმენტი, რაც ადასტურებს, რომ სკოლა მუშაობს/აქვს მზაობა სწავლებისას გამოიყენოს

	შეფასების სისტემა , თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პედაგოგების მიერ გამოგზავნილი რუბრიკები არ არის ცნებებზე ორიენტირებული, არის ზოგადი. რადგან სკოლის პედაგოგებს აქვთ ესგ-ის მიხედვი რუბრიკების შედგენის გამოცდილება, კოლეგებს გაუწევენ შესაბამის დაეხმარებას. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ხაზი გაუსვეს განმავითარებელი შეფასებისა და უკუკავშირის მნიშვნელობას, სკოლა გეგმავს განახორციელოს სადიაგნოსტიკო შეფასებები, რაც ხელს შეუწყობს საჭიროებების ზუსტ და დროულ განსაზღვრას შესაბამისი რელევანტური ღონისძიებების დასაგეგმად და ასამოქმედებლად. **<u>რჩევა:</u>** სასურველია, **სამივე საფეხურის** ბუნებისმეტყველების პედაგოგებმა კათედრებზე შეიმუშავონ როგორც კომპლექსური, ისე შემაჯამებელი დავალებების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შედეგების მიღწევის ინდიკატორებზე დაყრდნობით, ცნებებზე ორიენირებულად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასკოლო კურიკულუმებში წარმოდგენილია სკოლის ხედვა შეფასების პროცესთან მიმართებაში (განმსაზღვრელი/განმავითარებელი). კომპლექსური დავალებები თავისთავად გულისხმობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე ორიენტირებულ დავალებას, სადაც ფასდება მოსწავლის ცოდნა სამიზნე ცნებებთან მიმართებით და ასევე ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარაციულ, პროცედურულ და პირობისეულ ცოდნას. კათედრის მიერ დაგეგმილ სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალება ასრულებს შუალედურ სასწავლო მიზანს, შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. ინტერვიუს დროს მასწავლებელთან გასაუბრების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესში მოსწავლის განვითარებისთვის მიზანმიმართულად იყენებს შეფასების ორივე ფორმას. აღნიშნული მსჯელობების საფუძველზე **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის მიერ გამოიყენება როგორც განმავითარებელი (I-XII კლასები), ისე განმსაზღვრელი შეფასება (V-XII კლასები). შეფასების კრიტერიუმები პირდაპირ კავშირშია სამიზნე ცნებებთან, ხოლო ინსტრუმენტები ზომავს როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან მიზნებს და შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ წარმოდენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში. შეფასების რუბრიკების ზოგიერთ კრიტერიუმი ზოგადია და არ მიემართება გრძელვადიანი მიზნებისკენ - ცნებებისაკენ. მეტნაკლებად აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან. <u>**რჩევა:**</u> ესთეტიკური აღზრდის საგნების სამივე საფეხურის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, სასურველია, ცნებების დაფარვისაკენ იყოს მიმართული. კერძოდ, საბაზო საფეხურის ყველა ცნება - ბგერა, რიტმი, მელოდია, ჰარმონია, ფორმა და ჟანრი რუბრიკაში გაიწეროს დამოუკიდებლად, თემასა და საკითხთან მიმართებაში და მიენიჭოს მათ 1 ქულა, რაც ჯამში დადებითი შეფასების 6 - მაქსიმალურ ქულას შეადგენს. განმავითარებელ შეფასებშიც ასევე უნდა ჩანდეს თემასთან და საკითხთან მიმართებაში ცნებებზე დაფუძნებული მოსწავლის ცოდნა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	შეფასების რუბრიკები შემუშავებულია სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგენების გათვალისწინებით. ინდიკატორებში დაკონკრეტებულია ცოდნის სავალდებულო მინიმუმი, წარმოდგენილია რამდენიმე განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა. სკოლას აქვს მზაობა, რომ შეფასება მიემართებოდეს გრძელვადიანი მიზნებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** <u>**რჩევა:**</u> სასურველია, შეიქმნას რუბრიკები ან შეფასების კრიტერიუმები თითოეული კომპლექსური დავალებისთვის, რომლებშიც ნათლად იქნება გაწერილი, რა დონეზეა

	მიღწეული სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. ეს დაეხმარება მოსწავლეებს, გააცნობიერონ, კონკრეტულად რა კომპონენტებში სჭირდებათ გაუმჯობესება. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება უნდა ეყრდნობოდეს სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევის ინდიკატორებს და მიემართებოდეს როგორც შუალედურ, ასევე გრძელვადიან მიზნებს. სასურველია, სკოლამ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის შედგენისას იხელმძღვანელოს სამივე საფეხურის სტანდარტში მითითებული ინდიკატორებით, შეარჩიოს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებისთვის ყველაზე ადეკვატური ერთი ან რამდენიმე ინდიკატორი და დააკონკრეტოს დავალების პირობის გათვალისწინებით.
მათემატიკა	როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ასევე მასწავლებლებთან ჩატარებული გასაუბრება ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა შეესაბამება ვალიდურობის, გამვირვალობის, სანდოობის და ობიექტურობის პრინციპებს. შეფასების რუბრიკები შემუშავებულია საგნის სტანდარტზე დაფუძნებით და უზრუნველყოფს შედეგებზე ორიენტირებულ სტრუქტურირებულ და მკაფიო შეფასებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სპორტი	მოსწავლეთა ცოდნის კონსტრუირების და შეძენილი ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესის განმსაზღვრელია მოსწავლის შეფასება. მასწავლებელი ითვალისწინებს სტანდარტით განსაზღვრულ მიზნებს, მისაღწევ შედეგებს და აქიდან გამომდინარე აკეთებს უკუკავშირს, რომელიც ძირითადად სწავლის პროცესის გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული. პედაგოგებთან გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე, უკუკავშირის გაცემა ძირითადად ვერბალურად და განმავითარებელი კომენტარის სახით განხორციელდა, მათ აქვთ მზაობა ახალი კურიკულუმების დანერგვის პროცესში თემების მიხედვით შეიქმნან ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რის შემუშავებაშიც ასევე აქტიურად იქნებიან ჩართულნი მოსწავლეებიც. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	სკოლას სასკოლო–სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები, რაც დაწყებით საფეხურზე კომპიუტერულ ტექნოლოგიებში

	განმავითარებელ შეფასებასთან ერთად მე–5 კლასის მეორე სემესტრსა და მე–6 კლასში განმსაზღვრელ შეფასებას გულისხმობს. მასწავლებელი აქტიურად მუშაობს შეფასების სქემებზე, მას გააზრებული აქვს განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა მოსწავლეთა განვითარებისა და სწავლა-სწავლების პროცესის სრულყოფისთვის. განმსაზღვრელი შეფასება კი წარმოადგენს სწავლის შედეგების აღწერას საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნებთან და მიღწევის საერთო მაჩვენებელთან მიმართებით შეფასების ეს ფორმა მართულია მასწავლებლის მიერ და ძირითადად ხორციელდება, როგორც პროცესის შემაჯამებელი რაიმე თემის, თავის, სემესტრის, საკითხის და ა. შ. დასასრულს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები, ითვალისწინებს როგორც გრძელვადიან შედეგებს, ისე შუალედურ მიზნებს. მასწავლებლები სასწავლო პროცესში იყენებენ შეფასების მრავალფეროვან მეთოდებსა და ფორმებს. სკოლას მიეცა რჩევა, რომ ახალი კურიკულუმების გაწერისას, გაითვალისწინონ ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემული თემები, სამიზნე ცნებები და უფრო მეტად, ამის მიხედვით დაამუშავონ შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- შეფასების რუბრიკები
- კათედრის ოქმები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ვერიფიკაციის მექანიზმი
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება:

გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებო პროგრამა
☒შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო საგნის საათობრივი დატვირთვა და სემესტრული განაწილება შეესაბამება კურიკულუმში გაწერილი თემის თუ ძირითადი საკითხებისთვის დათმობილი საათების რაოდენობას, სასწავლო პროცესში განხორციელებული აქტივობები და გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსები დაგეგმილი კურიკულუმის შესაბამისია.

	ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესის განხორციელება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისია. კომპლექსური დავალებები და სამივე სახის ცოდნაზე ორიენტირებული შეკითხვები ხელს უწყობს მოსწავლეს საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებაში, მოქმედებასა და ნაბიჯების თანმიმდევრობით დაგეგმვა-განხორციელებასა და შესწავლილი მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებაში. კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება თავისთავად უზრუნველყოფს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებას, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი აძლევენ დავალებებს, სადაც მოსწავლეს უწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტის მოძებნა. განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ აქტივობებში როგორ უნდა გამოიყენონ მიღებული ცოდნა შემდგომ ცხოვრებისეულ სიტუაციებში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი **სამუშაო სასწავლო გეგმებისა და კურიკულუმების** ანალიზით დგინდება, რომ სასწავლო პროცესი ეყრდნობა ეროვნულ სასწავლო გეგმასა და სკოლის კურიკულუმს. მასწავლებლებთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ დაგეგმარება ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე (სამიზნე ცნებებზე). გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო აქტივობები ლოგიკურ ჯაჭვშია კურიკულუმით განსაზღვრულ შინაარსთან, რაც უზრუნველყოფს ენობრივი კომპეტენციების ეტაპობრივ და სისტემურ განვითარებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზდრის კათედრაზე, **დაწყებით და საბაზო საფეხურზე,** წარმოდგენილი სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში მკაფიოდაა და სრულად განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნები, მუსიკის საგანში დაწყებით საფეხურზე სრულად, ხოლო საბაზო საფეხურზე ნაწილობრივ. თემატური ბლოკებსა და თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, რომელთა დაძლევას/გააზრებას ემსახურება თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხები, განსაზღვრულია ქვეცნებები.

	კურიკულუმებში წარმოდგენილია შემოქმედებითი პროდუქტების, თუ კომპლექსური დავალების იდეები, ამთლიანებს და დინამიკაში წარმართავს პროცესს. საბაზო საფეხურის მუსიკის მე-7, მე-8 და მე-9 კლასის კურიკულუმებში არ არის გაწერილი მესამე-სავალდებულო თემატურ ბლოკში შემავალი თემები. **საშუალო საფეხურზე** არ არის წარმოდგენილი. საგნის პროექტული სწავლების კურიკულუმის ნაცვლად წარმოდგენილია ჩვეულებრივი, სასწავლო პროექტის გეგმა, რომელიც შესაძლებელია სასკოლო ან რაიონულ დონეზე განხორციელდეს, როგორც არაფორმალური განათლების მიმართლებით ერთ-ერთი აქტივობა. წარმოდგენილ დოკუმენტში, სახელწოდება არ შეესაბამება სშუალო საფეხურის მუსიკის სტანდარტით განსაზღვრული პროექტების მიმართულებებს, აგრეთვე არ მუშავდება ცნებები, როგორც გრძლვადიანი მიზნების შედეგები. დოკუმენტში წარმოდგენილია ხარჯთაღრიცხვა და პროექტის განხორციელების ამოცანები და ვადები. საგნობრივი მიმართულებით კი, მუსიკის პროექტული სწავლებისათვის სკოლას და კათედრას უნდა წარმოედგინა კურიკულუმი სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნის, მე-10 კლასის, კურიკულუმის მსგავსად. **<u>რჩევა:</u> მუსიკის** საგნის მე-7, მე-8 და მე-9 კლასის კურიკულუმებში აუცილებლად უნდა იყოს გაწერილი საგნობირვი სტანდარტის მიხედვით სამივე სავალდებულო თემატური ბლოკიდან მესამე თემები. თემების შესწავლისას შესაძლებელია, საკითხების შემცირება, თუმცა, თემების ამოღება-არა. **რეკომენდაცია:** საშუალო საფეხურზე, ესგ-ით საგნობრივის სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო - მუსიკის პროექტული საგნის სწავლებისათვის არ არის წარმოდგენილი კურიკულუმი. არც სკოლას, სასკოლო სასწავლო გეგმაში, საათობრივ ბადეში აქვს განსაზღვრული მე-11 კლასში სავალდებულო საგანი „პროექტული სწავლება“ და საგნისათვის დათმობილი 1 კვირეული საათი. მუსიკის პროექტული სწავლებისათვის სკოლამ და კათედრამ უნდა წარმოადგინოს კურიკულუმი კათედრაზე შეთანხმებილი ერთი ჩარჩო-დოკუმენტის - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პროექტული სწავლების მე-10 კლასის, კურიკულუმის მსგავსად. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რის

	თანახმადაც აღნიშნული შეუსაბამობის აღმოფხვრის თარიღია 2026 წლის მაისიდან 2026 წლის სექტემბრის პერიოდი. **ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარით, წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმში გაწერილია საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები. სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია სასწავლო რესურსები და ქვეცნებები. კურიკულუმების ჩარჩოებში აგრეთვე ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები შემოქმედებითი დავალების იდეა/პირობის დასახელებით, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს კომპლექსური ან კომპლექსური ბუნების დავალებებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** **<u>რჩევა</u>:** კურიკულუმებში წარმოდგენილია დავალების იდეები, თუმცა არ არის დეტალურად აღწერილი შეფასების კრიტერიუმები ან მეთოდები. შეფასების რუბრიკების ან კონკრეტული შეფასების ინსტრუმენტების დამატება გაუმჯობესებს სასწავლო პროცესის ეფექტურობასა და ობიექტურობას.
მათემატიკა	კათედრის მიერ მოწოდებული მასალის (სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები, შემოქმედებითი დავალებების ბარათები, და მათი განხორციელების ეტაპები, კათედრის ოქმი, სამოქმედო გეგმა, შეფასების რუბრიკები, სასკოლო სასწავლო გეგმა) ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, საგნის საათობრივი დატვირთვა სამივე საფეხურზე და სემესტრული განაწილება შეესაბამება კურიკულუმში გაწერილი თემის თუ ძირითადი საკითხებისთვის დათმობილი საათების რაოდენობას წარმოდგენილი სასწავლო თემები და საკითხები დაგეგმილ აქტივობებთან შესაბამისობაშია. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სპორტი	საგნობრივი კურიკულუმი მიემართება სამიზნე ცნებებს და ემსახურება მკვიდრი

	წარმოდგენების გააზრებას. წარმოდგენილია ასევე კომპლექსური დავალებების ნიმუშები და/ან პირობები. საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენს, სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზების და ურთიერთდაკავშირების საშუალებას იძლევა. წარმოდგენილ კურიკულუმებში გათვლილი თემები, მოსწავლეს ხელს შეუწყობს საგნობრივი საკითხების გააზრებაში. ხოლო კომპლექსური დავალებები მოსწავლეს დაეხმარება პრობლემის გადაჭრაში, გამოწვევასთან გამკლავებაში, პროდუქტის შექმნაში, სხვისი მოსაზრებების გათვალისწინებასა და ყველა გამოცდილების მობილიზებაში, გამომდინარე აქედან სასწავლო პროცესი დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ სწავლა-სწავლების პროცესის დროს გამოყენებული აქტივობები, დავალებები და რესურსები მიმართულია მოსწავლეთა შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების განვითარებისკენ. პედაგოგმა დაასახელა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის რამდენიმე მაგალითი, რა დროსაც მოსწავლეები აქტიურად ჩაერთნენ სასწავლო პროცესში, შექმნეს საინტერესო ციფრული პროდუქტები. კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოსწავლეები აქტიურად იყენებენ ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს სხვადასხვა საგანში განსხვავებული ტიპის პრობლემების გადაჭრისა და მრავალფროვანი პროდუქტის შექმნისთვის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად, მასწავლებლები მაქსიმალურად არიან ჩართულები, რათა ყველა სამიზნე ცნება დაიფაროს კლასის შესაბამისად. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა იმაზე მეტ აქტივობას ახორციელებს, ვიდრე ეს დოკუმენტრებშია ასახული. საერთო ჯამში, მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესი საინტერესო გზებითა და მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით მიმდინარეობს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სკოლა შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს ისწავლონ ფიზიკურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოში. საკლასო რესურსები ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისათვის. სკოლაში მოქმედებს სადამრიგებლო საათი, რომელიც აძლევს მოსწავლეებს საშუალებას ისაუბრონ პირად საკითხებსა და საკუთარ პრობლემებზე. სკოლას ხელშეკრულებით დასაქმებული ჰყავს ფსიქოლოგი, რომელიც შესაბამის დახმარებას უწევს მოსწავლეებს. მათ შეუძლიათ მიმართონ ნებისმიერ დროს დირექტორს ან სხვა მასწავლებელს. სასკოლო საზოგადოების ჩართულობით განიხილება აქტუალური საკითხები, აფასებენ წარმატების მიღწევის პირობებს და ეძებენ პრობლემების გადაჭრის გზებს. ამ მიზნით იყენებენ ინფორმაციის შეგროვების სხვადასხვა მეთოდებს: კვლევებს, ინდივიდუალურ გასაუბრებებს, კითხვარებსა და სხვა ინსტრუმენტებს. აღმზრდელობითი მუშაობა მიმდინარებს სხვადასხვა ფორმით: დისკუსია, ფილმების ჩვენება-განხილვა, სასწავლო ექსკურსია, როლური თამაში, გამოფენა, კონკურსი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მოსწავლეებისთვის მკაფიოა რა ცოდნის და უნარების წარმოჩინებაა საჭირო კონკრეტული სწავლის შედეგების მისაღწევად, მოსწავლეებისა და მშობლებისთვის ხელმისაწვდომია ინფორმაცია შეფასების ინსტრუმენტების, შეფასების კრიტერიუმებისა და ნიშნების დაანგარიშების წესის შესახებ, მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება გამოავლინონ ცოდნა და უნარები მრავალფეროვან კონტექსტში, მასწავლებლის უკუკავშირი და რეფლექსიები, მეტყველებს იმაზე, რომ შეფასების პროცესთან დაკავშირებული საკითხები წინასწარ არის ცნობილი ყველა შესაფასებელი პირისათვის, სკოლა იყენებს ვერიფიკაციის მექანიზმს შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტების ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის და ობიექტურობის დასადგენად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	მოსწავლეთა შეფასების მიზნით კათედრა იყენებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებს, როგორც ცოდნის, ასევე ფუნქციურ-კომპონენტური უნარებისათვის. ამ ინსტრუმენტთა გამოყენებით მასწავლებლები თვალს ადევნებენ

	მოსწავლის განვითარების პროცესს მთელი წლის განმავლობაში, იღებენ ინფორმაციას მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეებისა და მოსწავლეთა საჭიროებების შესახებ. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიდან ჩანს რამდენად მნიშვნელოვანია მასწავლებლებისთვის შეფასების სისტემამ უზრუნველყოს მოსწავლეთა ჰოლისტურ განვითარება, რაც გულისხმობს, რომ მოსწავლე თავად არის საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი, მასწავლებელი კი ამაში უნდა უწყობდეს ხელს. თუმცა კათედრას დასახვეწი აქვს კომპლექსური და შემაჯამებელი დავალებების შეფასების რუბრიკები, რომლებიც უნდა მიემართებოდეს სამიზნე ცნებებსა და საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციით და მასწავლებელბთან გასაუბრებით დგინდება **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** **<u>რჩევა</u>**: სასურველია კათედრამ შეიმუშაოს კონკრეტული კომპლექსური დავალებების და შემაჯამებელი დავალებების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მორგებული იქნება სამიზნე ცნებებსა და საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ შედეგების ინდიკატორებზე.
უცხოური ენები	სკოლის მიერ გაზიარებული შეფასების განმსაზღვრელი განმავითარებელი რუბრიკების ნიმუშები ატარებს ზოგად ხასიათს და მკაფიოდ არ ახდენს განსაზღვრული კონკრეტული თემის შეფასებას. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ გააზრებული და იყენებენ კიდეც თემის მისაღწევი შედეგების შესაბამის განმავითარებელ შეფასებებს. თუმცა, უცხოური ენების ნაწილში სისტემის ვალიდურობისა და ობიექტურობის კიდევ უფრო გასაძლიერებლად გაიცემა: **<u>რჩევა:</u>** სასურველია კათედრამ მოახდინოს რუბრიკების დეტალიზაცია, რათა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება პირდაპირ და მკაფიოდ ეფუძნებოდეს კონკრეტულ სამიზნე ცნებებსა და თემის მისაღწევ შედეგებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრის სამუშაო პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია იძლევა საშუალებას დადგინდეს რომ **დაწყებით და საბაზო** საფეხურზე კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილია განსმაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ზოგადი

	ნიმუშები. რუბრიკები ნაწილობრივ მიემართება საგნის შედეგების ინდიკატორებს, ზოგადია და მეტნაკლებად მორგებულია სასწავლო თემებზე და სამიზნე ცნებებზე. მოსწავლეთათვის შეფასების რუბრიკები ნაცნობია, შესაბამისად შეფასება არის ვალიდური, გამჭირვალე, ობიექტური. **<u>რჩევა:</u>** ესთეტიკური აღზრდის საგნების სამივე საფეხურის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, სასურველია, ცნებების დაფარვისაკენ იყოს მიმართული. კერძოდ, საბაზო საფეხურის ყველა ცნება - ბგერა, რიტმი, მელოდია, ჰარმონია, ფორმა და ჟანრი რუბრიკაში გაიწეროს დამოუკიდებლად, თემასა და საკითხთან მიმართებაში და მიენიჭოს მათ 1 ქულა, რაც ჯამში დადებითი შეფასების 6 - მაქსიმალურ ქულას შეადგენს. განმავითარებელ შეფასებშიც ასევე უნდა ჩანდეს თემასთან და საკითხთან მიმართებაში ცნებებზე დაფუძნებული მოსწავლის ცოდნა. **საშუალო საფეხურზე** კათედრის მიერ არ იყო წარმოდგენილი პროექტული სწავლების განმავითარებელი შეფასების რუბრიკა საგნობრივ სტანდარტზე დაფუძნებული. <u>არგუმენტირებულ პოზიციაზე სკოლამ წარმოადგინა საგნობრივ სტანდარტზე დაფუძნებული პროექტული სწავლების განმავითარებელი შეფასების რუბრიკა.</u> **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	სკოლამ წარმოადგინა აღნიშნული ინდიკატორის დამამტკიცებული დოკუმენტაცია (განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი) რუბრიკები შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** **<u>რჩევა:</u>** სასურველია, შემუშავდეს ყველა შემოქმედებითი დავალების შესაფასებელი განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკები და კრიტერიუმები, რომლებიც დაეფუძნება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. შეფასება უნდა ეყრდნობოდეს სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევის ინდიკატორებს და მიემართებოდეს როგორც შუალედურ,

	ასევე გრძელვადიან მიზნებს. შეფასების სანდოობისთვის კარგი იქნება მეტად გამოიყენონ კონკრეტულ საკითხზე, შემაჯამებელ დავალებაზე თუ შემოქმედებით პროდუქტზე მორგებული შეფასების კრიტერიუმები, სადაც გათვალისწინებული იქნება შესაფასებელი დავალების თითოეული ელემენტი.
მათემატიკა	კათედრის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია ადასტირებს, რომ შეფასების სისტემა შეესაბამება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. გამოყენებულია საგნის სტანდატრზე დაფუძნებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკები რაც უზრუნველყოფს შედეგებზე ორიენტირებულ მკაფიო შეფასებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სპორტი	სკოლის მიერ შემუშავებული და წარმოდგენილი შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი, სისტემის გამჭვირვალობას და ობიექტურობას ადასტურებს ის გარემოება, რომ მასწავლებლები შეფასების რუბრიკებს წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს რათა მოსწავლეებს ჰქონდეთ სრულყოფილი ინფორმაცია იმ შეფასების კრიტერიუმების შესახებ, რითაც ისინი შეფასდებიან სპორტული აქტივობების დროს, ეს ყოველივე საშუალებას მისცემს მოსწავლეებს უფრო ორგანიზებულად და მონდომებით შეასრულონ აქტივობები. შეფასების სისტემა ასევე აღწერილია სასკოლო სასწავლო გეგმით და იგი ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ინტერვიუ ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. დავალებებს ახლავს შეფასების კრიტერიუმები, შემაჯამებელ დავალებებში მითითებულია ეროვნული სასწავლო გეგმით მისაღწევი შედეგები, რაც ადასტურებს შეფასების ვალიდურობას. ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ შეფასების რუბრიკები წინასწარ ცნობილია მოსწავლეებისათვის, რაც გამჭირვალეს ხდის შეფასებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ გამოყენებული შეფასების რუბრიკები სანდოა და ვალიდური, მათი საშუალებით შესაძლებელია მასწავლებელმა შეაფასოს თითეული მოსწავლის ფაქტობრივი

	ცოდნა და მისი ხარისხი. თუმცა საჭიროებს განახლებას და უფრო მეტად მორგებას სამიზნე ცნებებსა და საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სსიპ ემზარ რეხვიაშვილის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლას **28.01.2026 წლის N10 ბრძანებით** დამტკიცებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი. სკოლა, შეფასების სისტემის მექანიზმების განსაზღვრისას ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების სისტემას. სკოლას აგრეთვე ბრძანებით (**N19. 03.02.2026წ**) დამტკიცებული აქვს ვერიფიკატორთა გუნდი, რომელიც ახორციელებს შეფასების ვერიფიკაციას სამი მიმართულებით: მოსწავლის შეფასებისას გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია, მტკიცებულებების ვერიფიკაცია. დოკუმენტის თანახმად შეფასების სისტემის ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირებია სხვადასხვა კათედრის ხელმძღვანელები როტაციის შესაბამისად. სკოლას აქვს სადიაგნოსტიკო შეფასების პრაქტიკა. შეგვიძლია დავასკვნათ, სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

კათერდის წევრებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის, მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას, არსებული ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით, ასევე მოსწავლის პირად საქმეში. ინფორმაცია დაცულია და ინფორმაციის გაცემა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლაში ინახება მოსწავლეთა სემესტრული, წლიური და საფეხურის ნიშნები როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. ინფორმაციის ასახვა ხდება მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით. სამომავლოდაც დოკუმენტაციის შენახვას და დამუშავებას გააგრძელებენ კანონით დადგენილი წესის შესაბამისად. სკოლა საუბრობს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის კანონმდებლობით დადგენილი წესების შესახებ. შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის და მტკიცებულებების სახით სკოლაში ინახება საკლასო ჟურნალები მატერიალური სახით. 2021-2022 სასწავლო წლიდან კი ელექტრონული ჟურნალების სახით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- შეფასების რუბრიკები
- კათედრის ოქმები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ვერიფიკაციის მექანიზმი
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- რემედიციის დებულება
- სადამრიგებლო პროგრამა

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესში განხორციელებულ აქტივობებში გამოიყენება დაგეგმილი, კურიკულუმში გაწერილი ძირითადი და დამხმარე (ელექტრონული თუ მატერიალური) საგანმანათლებლო რესურსები, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში რესურსები მცირე რაოდენობითაა მოცემული, სკოლას არ აქვს ლაბორატორია, შესაბამისად ვერ ხერხდება საჭირო ცდების და ექსპერიმენტების ჩატრება, ამიტომ მეტი ელექტრონული რესურსები უნდა გამოიყენონ მასწავლებლებმა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის შესაძლებლობას მოსწავლეებმა განახორციელონ სხვადასხვა სასკოლო თუ სკოლებს შორის არსებული პროექტები. მიუხედავად დამხმარე სასწავლო რესურსების სიმცირისა, მასწავლებლები ყოველთვის

	იყენებენ მთ ხელთ არსებულ დამხმარე სასწავლო რესურსებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებთან ერთად, სასწალო პროცესში. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ რესურსების გამოყენებას კომპლექსური დავალების დროს, რაც მოსწავლეებში დიდ დაინტერესებას იწვევს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი **დოკუმენტაციის (მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღწერილობა, ბიბლიოთეკის ფონდი და ელექტრონული რესურსების ბაზა/ლინკები)** შესწავლით დგინდება, რომ სასწავლო რესურსები შეესაბამება კურიკულუმის მოთხოვნებს. მასწავლებლებთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ საგაკვეთილო პროცესში აქტიურად გამოიყენება როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები (ძირითადი რესურსი), ისე მრავალფეროვანი დამხმარე მასალები. ინტერვიუ დროს ასევე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ წვდომა საჭირო ტექნიკურ აღჭურვილობაზე (პროექტორი, კომპიუტერი, ინტერნეტი), რაც მათ საშუალებას აძლევს, კურიკულუმით დაგეგმილი აქტივობები განახორციელონ შეუფერხებლად, რაც პირდაპირ აისახება მოსწავლეთა ჩართულობისა და ენობრივი კომპეტენციის ზრდაზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და მუსიკის საგნების სწავლებისთვის სწორად არის შერჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოები, გამონაკლისს წარმოადგენს მუსიკის საგანში მე-3 და მე-4 კლასის და პროექტული სწავლების სახელმძღვანელოები. დამხმარე რესურსად მუსიკის საგანი იყენებს სამინისტროს მიერ შეთავაზებულ ელექტრონულ რესურსებს, პრეზენტაციებს როგორც თემებისა და საკითხების სახით აგრეთვე ვიდეო-აუდიო რესურსის ფორმატით. მასწავლებლები გაკვეთილზე იყენებენ პერსონალურ კომპიუტერს, ხმის გამაძლიერებელს. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისთვის კი სხვადასხვა ტექნიკით მომზადებულ თვალსაჩინოებას, მაკეტებს, პრეზენტაციებს და სხვა. **<u>რჩევა:</u>** 1. **დაწყებით საფეხურზე,** მე-3 და მე-4 კლასების **მუსიკის** საგნის კურიკულუმში

	რესურსების გრაფაში სწორად უნდა იყოს მითითებული 2023 წლის გრიფირებული სახელმძღვანელოს ავტორები და გამომცემლობა; 2. **საშუალო საფეხურის** მუსიკის პროექტული სწავლების კურიკულუმში და სასკოლო სასწავლო გეგმაში მუსიკის გრიფირებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალში უნდა იყოს მითითებული ერთადერთი სახელმძღვანელო - გამომცმელობა „პეგასი“, ავტორები ი.ბარამიძე, ქ.ბაიაშვილი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კურიკულუმში ასახულია როგორც ძირითადი, აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები ბმულების სახით; ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული ან შეთანხმებული საქართველოს განათლების, სამინისტროსთან კანონმდებლობით დადგენილი წესით. მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვეა, რომ რესურსების შერჩევა ხდება აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად და რესურსების შერჩევისას ასევე ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. წარმოდგენილი კურიკულუმების მიხედვით, სასწავლო პროცესში გამოიყენება ძირითადი (გრიფირებული სახელმძღვანელოები) და დამხმარე სასწავლო რესურსები (ონლაინ ვიდეო რესურსები, ძირითადად YouTube-ზე განთავსებული გაკვეთილების ანალიზები და ფილმები). **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** **<u>რჩევა:</u>** მიუხედავად იმისა, რომ ელექტრონული რესურსები კარგი დამხმარე საშუალებაა, სასურველია, დაემატოს სხვა ტიპის რესურსებიც, რათა დაკმაყოფილდეს მოსწავლეთა განსხვავებული სწავლის სტილები და ინტერესები. მაგალითად: ინტერაქტიული სავარჯიშოები: ენობრივი და ლიტერატურული მასალის გასამყარებლად. პოდკასტები/აუდიოწიგნები: განსაკუთრებით ლიტერატურული ნაწარმოებების ან მათი ანალიზებისთვის. ონლაინმუზეუმები და ვირტუალური ტურები: თუ შესაძლებელია ნაწარმოებებთან ან ავტორებთან დაკავშირებული ადგილების ვირტუალური მონახულება (მაგალითად, მწერლის სახლ-მუზეუმები). სამეცნიერო-პოპულარული სტატიები და ესეები ლიტერატურულ კონტექსტსა და კონკრეტულ თემებზე ცოდნის გასაღრმავებლად.
მათემატიკა	არსებულ კურიკულუმებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საკმაოდ

	მრავალფეროვანი რესურსები აქვთ წარმოდგენილი, რომლებიც შესაბამისობაში მოდის არსებულ თემებსა და საკითხებთან. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სპორტი	კურიკულუმის გაცნობის და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე რესურსები სრულად გამოიყენება სასწავლო პროცესში, სკოლას აქვს საკმარისი სპორტული ინვენტარი და გამართული ინფრასტრუქტურა, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობდეს დაუბრკოლებლად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	კურიკულუმში წარმოდგენილია მრავალფეროვანი და მოსწავლეზე მორგებული სასწავლო მასალა და ელექტრონული რესურსები; კომპიუტერული სასწავლო-საგანმანათლებლო თამაშები, ინტერნეტრესურსები სასწავლო მიზნით შექმნილი მულტიმედიური პროდუქტები, განხორციელებული კომპლექსური ტიპის დავალება, მოსწავლეთა ნამუშევრები -პრეზენტაცია Power Point-ის გამოყენებით, რაც ზრდის მოსწავლის მოტივაციას, ხელს უწყობს საგაკვეთილო პროცესში მაქსიმალურ ჩართულობას, და ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესში გამოყენებულია ძირითად რესურსად სახელმძღვანელო, ხოლო დამატებით რესურსად ძირითადად ელექტრონული ბმულები. მიუხედავად მატერიალური რესურსების სიმწირისა, მასწავლებლები მაინც ცდილობენ მრავალფეროვანი საშუალებების გამოყენებით უფრო საინტერესო გახადონ სასწავლო პროცესი, რაც დასტურდება მათ მიერ გამოგზავნილი ფოტომასალითაც. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნის სწავლებისას სკოლის მიერ წარმოდგენილია კლასებისა და თემების მიხედვით დალაგებული საგანმანათლებლო დამხმრე რესურსი და ფოტო მასალა, რის საფუძველზეც , შეიძლება ითქვას , რომ სკოლა აქტიურად იყენებს დამხმარე რესურსს საგნობრივი სტანდარტით გათვალისიწინებული თემების, საკითხების სწავლების დროს. კომპლექსური დავალების განხორციელებისას. **<u>რჩევა:</u> სასურველია**, სკოლამ შექმნას რესურსების ვალიდაციის დოკუმენტი, რის საფუძველზეც შეირჩევა დამხმარე სასწავლო რესურსები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	დამხმარე სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის; მოსწავლეებისათვის არ არსებობს შემაფერხებელი გარემოება, რაც შეზღუდავს ხელმისაწვდომობას სკოლაში არსებულ დამხმარე სასწავლო რესურსებზე. მასწავლებლები მიზნობრივად იყენებენ ყველა რესურსს, რაც მოსწავლეებს ეხმარებათ სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ სკოლა ახორციელებს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციის პროცესს, ასევე გამოყენებული რესურსები გადის ვალიდაციას კათედრებზეც, რათა შეესაბამებოდეს მოსწავლეთა ასაკს, ინტერესებსა და სასწავლო მიზნებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე წარმოდგენილი რესურსები ვალიდურია. რადგან კათედრაზე ახორციელებენ მათ ვალიდაციას მოსწავლეთა ინტერესებისა და კონკრეტულ საფეხურზე საწავლების გათვასლიწინებით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	როგორც პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება კათედრაზე. გამოიყენება მხოლოდ ის მასალები, რომლებიც შეესაბამება

	ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს. მტკიცებულებად წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმები, კათედრის ოქმები და დამტკიცებული რესურსების ნუსხა. კურიკულუმის დოკუმენტებში არ არის მოცემული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ხდება ამ დამხმარე რესურსების შერჩევა, შეფასება ან დამტკიცება. არ არის მითითებული კრიტერიუმები, ვის მიერ ხდება ვალიდაცია ან რა პერიოდულობით ხდება მათი გადამოწმება, თუმცა ინტერვიუირებისას მასწავლებლებმა აღწერეს დეტალურად თანამშრომლობის პროცესები, რომ თავად ირჩევენ რესურსებს საკუთარი გამოცდილებისა და შეფასების საფუძველზე და ერთმანეთს უზიარებენ. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** **<u>რჩევა</u>:** სასურველია, კათედრამ დანერგოს პრაქტიკა, რომლითაც მასწავლებლებს და საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლეებსაც შეეძლებათ უკუკავშირის მიცემა გამოყენებული რესურსების შესახებ, რათა მათი ეფექტურობა მუდმივად გაუმჯობესდეს. ამგვარი პრაქტიკის დანერგვა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს დამხმარე რესურსების ხარისხს და უზრუნველყოფს, რომ ისინი მართლაც ეფექტურად ემსახურონ სასწავლო მიზნებს.
მათემატიკა	მასწავლებლებთან გასაუბრებიდან ნათელია, რომ სკოლა ახორციელებს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციის პროცესს, რომელიც მოიცავს მასწავლებელთა ჩართულობას რესურსების შერჩევასა და შეფასებაში, რესურსების პრაქტიკულ ტესტირებას სასწავლო პროცესში, რეგულარულ მონიტორინგსა და განახლებას **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სპორტი	სკოლას არ წარმოუდგენია კონკრეტული დოკუმენტი ვალიდაციის პროცესის, თუმცა გასაუბრებაზე აღინიშნა, რომ მუდმივად ხდება კათედრის სხდომაზე წევრებს შორის დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდურობის შეფასება, ასევე აღინიშნა მზაობა დოკუმენტაციის შექმნის შესახებ. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	ტექნოლოგიებში გამოყენებული სასწავლო მასალა და ელექტრონული რესურსები, კომპიუტერული სასწავლო-საგანმანათლებლო თამაშები შეთანხმებულია კათედრასთან, გამოიყენება მხოლოდ ის მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის

	სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ უზრუნველყოფილი რესურსები ხელმისაწვდომია როგორც მასწავლებლებისთვის, ისე მოსწავლეებისთვის. კათედრები თანამშრომლობენ და ერთმანეთსაც უზიარებენ რესურსებს, რაც კიდევ უფრო ეხმარებათ პროცესის სრულყოფილად წარმართვისთვის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	**სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები.** აქვთ პროექტორი, ლეპტოპები, სასწავლო პროცესში მოსწავლეთა მიერ შექმნილი პროდუქტები, სკოლაში არსებული მრავალფეროვანი თვალსაჩინოება -პოსტერები, მოდელები, რაც წარმოადგენს საკმარის მასალას სწავლის შედეგების მისაღწევად. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სკოლას შეპირდნენ, გარკვეულ ვადებში საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის გაკეთებას. **რეკომენდაცია:** აღნიშნულთან დაკავშირებთ სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც სკოლა უზრუნველყოფს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობას 2026 წლის მაისიდან 2027 წლის მაისის პერიოდში. **<u>რჩევა:</u>** სასურველია სკოლამ გონივრულ ვადებში უზრუნველყოს საბაზო და საშუალო საფეხურზე კეთებით სწავლების სტრატეგიის გამოყენების ხელშესაწყობად და სიღრმისეული სწავლებისთვის ლაბორატორიის გამოყოფა, რეაქტივების მარაგის შევსება,

	წყლის და გამწოვი სისტემის დროული დამონტაჟება, განცალკევებული საპრეპარატორო ოთახი და ა.შ. უსაფრთხოების სრული უზრუნველყოფის მიზნით, სასურველია, გამოყენების შემდგომ ადვილად მსხვრევადი ყველა მინის ჭურჭელი, ქიმიური პრეპარატების მსგავსად, აუცილებდად ინახებოდეს კარადაში, დაკეტილ მდგომარეობაში. **ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები. სასკოლო ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო, ასევე დამხმარე რესურსების ხელმისაწვდომობას მატერიალური სახით. საგნობრივ კურიკულუმებში მითითებული ლიტერატურა ხელმისაწვდომია ბეჭდური სახით ბიბლიოთეკაში, ასევე შესაძლებელია, ინტერნეტ სივრცეში განთავსებული რესურსების გამოყენება. სკოლაში არის რუკები, ატლასი, გლობუსი და სხვ. რესურსი კურიკულუმის განხორციელებისათვის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	სკოლა აღჭურვილია კომპიუტერული ლაბორატორიით, ბიბლიოთეკითა და საგაკვეთილო ინვენტარით, რაც სხელს უწყობს უცხოური ენების კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე წარმოდგენილია სხვადასხვა თვალსაჩინოებები, პლაკატები, პრეზენტაციები, და სხვა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებს სასწავლო მასალებითა და ტექნოლოგიებით: ძირითადი სასწავლო რესურსით - გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით, გრაფიკული ორგანიზატორებით, ციფრული რესურსებით, კომპიუტერით, პროექტორით, ინტერნეტთან წვდომითა და ინკლუზიური მასალებით. მასწავლებლები რესურსებს არჩევენ აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად, ასევე ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს.

	ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.
მათემატიკა	სკოლა უზრუნველყოფს კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით რასაც ადასტურებს წარმოდგენილი ფოტო მასალა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სპორტი	სკოლას აქვს ღია და დახურული სპორტული ინფრასტრუქტურა და შესაბამისი სპორტული ინვენტარი, რაც პედაგოგებს უწყობს ხელს დაუბრკოლებლად განახორციელონ საგაკვეთილო-სასწავლო პროცესი, რაც გვაძლევს იმ დასკვნის საშუალებას, რომ კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	სკოლა კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს მოწავლეთა საჭიროებებზე მორგებული და შესაბამისი მატერიალური რესურსით - კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აკმაყოფილებს კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ინტერვიუს შედეგად ირკვევა, რომ პედაგოგებს დაწყებით საფეხურზე, უმეტეს შემთხვევაში, ამარაგებს სკოლა საჭირო სასწავლო/მატერიული რესურსით, რისი საშუალებითაც შესაძლებელი ხდება კურიკულუმში გაწერილი საკითხების დამუშავება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სსიპ ემზარ რეხვიაშვილის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლას კურიკულუმის განხორციელებისთვის ჰყავს საჭირო ადამიანური რესურსი. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ამონაწერიდან დასტურდება, რომ დაწესებულებაში დასაქმებული მასწავლებლებიდან 2 პედაგოგს აქვს წამყვანი მასწავლებლის სტატუსი,

ხოლო 15 პედაგოგს - უფროსი მასწავლებლის სტატუსი - მათ შორის 1 არის სპეციალური მასწავლებელი, ხოლო 4 არის სპეციალური მასწავლებლის ასისტენტი. სკოლას აგრეთვე ხელშეკრულებით აყვანილი ჰყავს 1 მოწვეული პედაგოგი, რომლის კვალიფიკაცია არ შეესაბამება კანონმდებლობით მოთხოვნილ სტანდარტებს. **დაწესებულებას არ ჰყავდა** კვალიფიციური კადრი ბიოლოგიასა და გეოგრაფიაში. მიმდინარე სასწავლო წელს აღნიშნულ საგნებს ასწავლიდნენ შიდა კონკურსის წესით შერჩეული პედაგოგები საგნობრივი ჯგუფიდან (გეოგრაფიას - საზოგადოებრივი მეცნიერებების, ხოლო ბიოლოგიას - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ჯგუფიდან). ვიზიტის პერიოდში სკოლამ განათავსა ვაკანსია (22/04/2026) გეოგრაფიისა და ბიოლოგიის პედაგოგების პოზიციებზე.

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც გამოაცხადა კონკურსი ვაკანტურ საათებზე და 2026 წლის მაისიდან 2026 სექტემბრამდე პერიოდში დაასაქმებს კალიფიცირებულ მასწავლებლებს. პედაგოგებთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებები. **ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- შეფასების რუბრიკები
- კათედრის ოქმები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ვერიფიკაციის მექანიზმი
- ამონაწერი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან;
- შრომითი ხელშეკრულებები;

შეფასება:
გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სასკოლო საზოგადოებას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმის განვითარება არის ციკლური პროცესი, მონიტორინგი და შეფასება კი ამ პროცესის განუყოფელი ნაწილია და თვლის, რომ აუცილებელია კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმის დახვეწა, შესაბამისად, მიმდინარე სასწავლო წელს სკოლა გამოკვეთს მონაცემთა მიზნობრიობას, მათი შეგროვებისა და ანალიზის პროცესებს, როგორ შეიძლება გამოყენებულ იქნას მიღებული შედეგები კურიკულუმისა და სწავლა-სწვალების პროცესის გაუმჯობესებისათვის. განსაზღვრავს ინდიკატორებს, რომელიც შესაძლებლობას მისცემს სკოლას გაზომოს როგორც პროცესი -რა განხორციელდა მიზნის მისაღწევად, ასევე მიღწეული შედეგები. მონიტორინგისა და შეფასებისათვის გამოიყენება მოსწავლეთა სხვადასხვა ტიპის დავალებების შედეგები, გაკვეთილებზე დასწრების ანალიზი, კათედრის ანგარიშები და სხვა. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კათედრის შეხვედრებზე სისტემატიურად ხდება კურიკულუმების შეფასება და მონიტორიგნი - რამ გაამართლა? რა არის გასაუმჯობესებელი? რის განხორციელება ვერ შეძლეს. სკოლაში აღნიშნული მიმართულებით მონიტორინგს განახორციელებს ხარისხის განვითარებისა ჯგუფი და სკოლის დირექცია. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მონიტორიგნი და შეფასება ეხმარება მათ გამოკვეთილი ხარვეზებისთვის დაგეგმონ ინტერვენციები, გადაამუშაონ კურიკულუმები და გადაჭრან არსებული პრობლემები. 2026-2027 სასწავლო წელს გეგმავენ ამავე მიმართულებით გააგრძელონ მუშაობა და არსებული პრაქტიკა გააგრძელონ, საჭიროებისამებრ დაკვირვების საფუძველზე- პროცესში გაუმჯობესონ ანალიზის საფუძველზე, რომელიც კათედრებისა და დირექციის დისკუსიის საფუძველზე გამოიკვეთება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის ჩანაწერებში, თანდართულ დოკუმენტებში და პედაგოგებთან ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სკოლა მუშაობს კურიკულუმის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების სისტემაზე, გეგმავს მასწავლებელთა მხარდაჭერასა და დახმარებას, მათ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვასა და ხელშეწყობას. მტკიცებულებებზე დაყრდნობით მასწავლებლებს შეუძლიათ შეაფასონ მოსწავლის სწავლის პროცესი, დაადგინონ ის სფეროები და უნარები, სადაც მოსწავლეს დახმარება სჭირდება, მისცენ უკუკავშირი და მიგნებების გათვალისწინებით დაგეგმონ სწავლის პროცესი. მონიტორინგი და შეფასება ხელს შეუწყობს სკოლის მომავლის დაგეგმვას, ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებასა და ახალი შესაძლებლობების შეფასებას. მასწავლებლები ერთმანეთის მხარდაჭერის მიზნით ახორციელებენ მონიტორინგს, რომ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი დაგეგმონ. ამ მიმართულებით ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტად/ორგანოდ თვლიან ხარისხის მართვის ჯგუფს, ასევე იგეგმება კათედრაზე, კათედრის ყველა წევრის ჩართულობით მოხდეს კურიკულუმების მონიტორინგი და შეფასება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კათედრების ოქმები;
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
- სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

მასწავლებლებთან ინტერვიუმ აჩვენა, რომ სკოლაში მოსწავლის და პროცესის შეფასების სისტემა ჰოლისტური ხასიათისაა, ეყრდნობა მრავალფეროვან ინსტრუმენტებს: ჩართულია მშობელი, აქტუალურია მოსწავლეების ურთიერთშეფასება, რითიც იღრმავებენ ცოდნას და იძენენ გამოცდილებას. სკოლას აქვს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, კომპლექსურ დავალებებს კი აფასებენ სოლო ტაქსონომიით - ზეპირი უკუკავშირის ფორმით აძლევენ განმავითარებელ შეფასებებს. შეფასების სისტემაში იცავენ ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობის/სამართლიანობის პრინციპებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

ვიზიტის ფარგლებში, სკოლაში განხოციელებული ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა ფიზიკური, კოგნიტური და ფსიქო-ემოციური განვითარების ხელშესაწყობად, მასწავლებლები ცდილობენ შეისწავლონ მოსწავლეები სხვადასხვა კონტექსტში: გაითვალისწინონ მოსწავლეთა სოციალურ - ემოციური ფონი, განსაზღვრონ მოსწავლეთა წინარე ცოდნა / გამოცდილება, ინტერესები, კოგნიტური / ფიზიკური უნარები და ამის შესაბამისად მოახდინონ მოსწავლეთა სწავლის პროცესის დაგეგმვა-შეფასება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასებისას იყენებენ მათ მიერ დაკვირვების შედეგად მიღებულ ინფორმაციას (საკლასო აქტიურობა, საშინაო დავალებები, შემაჯამებელი დავალებები) და იყენებენ სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვისას (მათ შორის კონტექსტ მაგალითების შეთავაზება, კომპლექსური დავალებების განხორციელება, პროექტების დაგეგმვა და ა.შ.). შესაძლოა სხვა ინსტრუმენტების გამოყენებაც. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლის შეფასებისას ითვალისწინებენ ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა აკადემიური უნარები, აზროვნებისა და დასაბუთების უნარ-ჩვევები და კომუნიკაციის ზოგადი უნარ-ჩვევები. შეფასების ამ ფაქტორებს იყენებენ მოსწავლისათვის სასწავლო მასალისა და რესურსების ადაპტირებისას. მუშაობენ სპეციალური საჭიროებების

მოსწავლეებთან, სადაც ყურადღება ექცევა მოსწავლის განვითარების დონეს და სპეციალურ საჭიროებებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- გასაუბრება კათედრის წევრებთან
- სკოლის თვითშეფასების ანგარიში
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
- ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

წარმოდგენილ დოკუმენტში „კურიკულუმის-განვითარების მეთოდოლოგია“გაწერილია სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პრინციპები (ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების ანალიზი). მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის და სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად (ამის დასტურია კურიკულუმების ჩარჩო-დოკუმენტები). მასწავლებლებთან გასაუბრება ადასტურებს, რომ ეს პრინციპები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

კურიკულუმის წარმოდგენილი ვერსია გარკვეულწილად ეფუძნება წინარე გამოცდილებას, რადგან სკოლაში არსებობს შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი, ეს შესაძლებლობას იძლევა, მოხდეს კურიკულუმების გადასინჯვა და მისი გაუმჯობესება; სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, მომდევნო წლის კურიკულუმი მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით იქნება შემუშავებული, შესაბამისად დაეფუძნება წინარე გამოცდილებას. ვიზიტის დროს აღინიშნა, რომ კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია გაკვეთილზე დაკვირვების შედეგად გამოვლენილი მიგნებები, რაც კათედრის წევრებთან გასაუბრებიდანაც დასტურდება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- კათედრის მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
- ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

0

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თარიღი 04.06.2026